K11.751
1

გამოცემა გენერალურ-მეჯლისის განყოფილების სამხედრო სამინისტროსა და ნებადართულია სამხედრო მინისტრის მიერ.

საშეფობრო წესდება
სუგუქი არტილერიისა

ზარბაზნის სწავლა.

შესწორებულია და შევსებულია 1913 წ. 15 ოქტომბრიდან.

თფილისი.
სტამბა „ქართ. ბეჭ. ამხანაგობის“ გოლ. № 26.
1918.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის ბრძანების თანახმად შემდგარმა საწესდებო კომისიამ, ლენერალ **ოდიშვლიძის** თავჯდომარეობით და წევრებით: ლენერლის **არჯევანიძისა**, პოლკოვნიკ **ხოსიტაშვილის**, პოდპოლკოვნიკების: გენერალურ შტაბის **ჩეჩელაშვილის**, **ლ. ცაგარლის**, **აბესაძის**, **სულხანიშვილის**, **თუმანიშვილისა**, შტაბს-კაპ. **ალ. გორგაძის**, პორუჩიკების **თ. ჩიქვანაიას** და **ვას. გორგაძის**, **აბზიანიძის** და საქმის მწარმოებლის კაპ. **თევზაძისა**, განიხილა, შეასწორა და გადათარგმნა რუსულიდან ეს წესდება, რომელიც ეგზავნება ჯარებს სახელმძღვანელოდ.

K 11.75
1

საქართველოს სახ. წიგნის პალატა
საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა
№ 43

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზარბაზნო სწავლა.

განყოფილება I.

ზარბაზანთან მოქმედება.

თავი I.

პირადი შემადგენელობის ვარაუდი და პიროვნებათა ადგილები.

1. ზარბაზანი და ყუთი შეადგენენ, საზოგადო წესით, განუყოფელ საომარ ერთეულს.

2. ზარბაზანთან და ყუთთან სამოქმედოთ ინიშნებიან ზარბაზნის ნაცვალი და 8 ნომერი:

№ 1 დამმიზნებული № 5)
№ 2 მესაკეტე, № 6) დამყენებლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 3 გამტენი, № 7) მეყუთენი.
№ 4 მესამართე, № 8)

3. სროლის დროს ყუთს აყენებენ ზარბაზნის გვერდით, $^1/_2$ ნაბიჯზე მარცხნივ, ისრით სროლის პირისკენ, ყუთის ღერძს — 1 ნაბიჯზე საომარ ღერძის უკან. ზევითა გადასაკეთი ნაწილი ფარისა აწეულია, ქვეითა ჩამოშვებული. ყუთის კარები გაღებული და ჩამოშვებულია.

ორი ლანკანი ვაზნით ამოღებულია ყუთიდან და დალაგებულია ყუთის კარების და ნომრებს შორის. ლანკენები ღიაა.

შენიშვნა: თუ ბრძოლის პირობები თხოულობენ ყუთი შეიძლება დაყენებული იყოს ზარბაზნის მარჯვნივაც.

4. ზარბაზნის ნაცვალი არის ზარბაზნის უფროსის მოვალეა:

ა) დასდგას ზარბაზანი პოზიციაზე შეძლებისამებრ ისე, რომ გვერდზე არ იყოს გადახრილი; უბრძანოს ამოთხარონ კვალი სახნისის მისაბჯენად;

ბ) დაფარულ პოზიციაზე ზარბაზნის დადგმისას უბრძანოს № 1 ზარბაზნის დამიზნებით საფარის თხემზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაზღვროს უმცროსი სამიზნო, როგორც ზარბაზნის ლერძის მიმართულებით, აგრეთვე მის ორთავე მხარეს, დაახლოვებით სწორი კუთხის ფარგლეში (3, 0—4, 0 დანაყოფი კუთხისაზომისა);

ბ) თვალ-ყური ადევნოს, რომ ზარბაზნის პირდაპირ არ იყოს ისეთი საგნები, რომლებსაც შეეძლოთ შრაპნელებას ნაანდრევათ გასდომის გამოწვევა;

დ) თვალ-ყური ადევნოს ნომრების სწორსა და სწწრაფს მომქმედებას;

ე)თვალ-ყური ადევნოს მატერიალურ ნაწილის რიგიან მდგომარეობას და ზომა მიიღოს დაზიანებულის გასასწორებლად;

ვ) თვალ-ყური ადევნოს ზარბაზნის უახლოეს მიწვდის გბნუწყვეტლობის;

ზ) უბრძანოს ზარბაზნის გაგორება სხვა ადგილზე ($1^1/_2 - 2$ ნაბიჯზე), თუ ხორთუმის ქვეშ მიწა გაფხვიერდა (როდესაც აღსანიშნავი წერტილი 100 საჟენზე ახლოა ზარბაზანი წერტილის მიმართულებით უნდა გაგორდეს);

ც) მიიღცს და ჩაიწეროს ზარბაზნის შესახები დაყენებანი და გადასცეს ისინი თავის ზარბაზანს მათი საბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოო მნიშვნელობით, ჩაიწეროს ზარბაზნის ალნიშვნისას მიღებული დაყენებანი და მიზნების ნომრები,

თ) პირდაპირი დამიზნებით სროლის დროს, თუ ალსანიშნავი წერტილი ცუდათ გამოჩნდება ან დაიმალება, უბრძანოს პირველ ნომერს გადავიდეს განცალკევებულ დამიზნებაზე.

ი) სახიფათო სიახლოვეზედ ნიშანში სროლის დროს უჩვენოს № 1-ს მიზნის არე;

კ) ბრძოლის დროს თვალ-ყური ადევნოს, რომ ნომრებმა მოიხმარონ ფარი და ყუთი მტრის ნასროლისაგან დასაფარავად, სროლის დროებით შეწყვეტის დროს კი უბრძანოს ამოთხარონ თხრილები ნომრებისათვის და საფარები ზარბაზნისა და ყუთისთვის, თუ ამის შესახებ განკარგულება გაიცა;

ლ) ვაზნის აწვის შემდეგ თუ ორჯელ ჩახმახის დაცემით არ მოხდა გასროლა, ცოტა დაცდის შემდეგ, ვინაიდგან, შესაძლებელია, გასროლა შეფერხდეს — თუ სროლა სწარმოებდა „ზარბაზნებით“ ან „ერთ ზარბაზნით“—უბრძანოს ნომრებს: „გასტენეთ ზარბაზანი ახალი ვაზნით!.“ სხვა სახით სროლის დროს ზარბაზანი იცლება და არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტენება შემდეგ განკარგულებამდის. ხმა მაღლა აუწყებს მწყობრის თავს: „ესა და ეს ზარბაზანი აიწვა“.

მ) ზარბაზნის ლრუში მასრის გაჭედის დროს უბრძანოს № 4-ს ზუმბით გამოაგდოს იგი ტუჩიდან;

ნ) თუ ყუმბარა გაიჭედა, ისე მოიქცეს როგორც მეორე დამატებაშია ნაჩვენები;

ო) იმ შემთხვევისათვის თუ თვითონ გამოაკლდება, უნდა დანიშნოს თავის მოადგილეთ ზარბაზნის ნომერთაგანი;

5. ზარბაზნის ნაცვალი დგება ყუთის უკან, ერთ ნაბიჯზე №№ 3 და 5-ს უკან, ნომრების მოქმედების დროს კი დგება იქ, სადაც საჭიროდ დაინახავს და იმისდა მიხედვით თუ რა ადგილზედაც იმყოფება, ეფარება ფარს ან ყუთს.

ნომრები დგებიან:

№ 1—ლაფეტის მარცხენა მხარეზე, სახით მინდვრისაკენ;

№ 2 – ლაფეტის მარჯვენა მხარეზე, სახით იმისკენ; ორივენი მჭიდროდ ლასტებთან, სახაზინო ჩანაკვეთის სიმაღლეზე:

№ 3—ერთ ნაბიჯზე ყუთის უკან, მის მარჯვენა ნაწილის პირდაპირ, სახით მინდვრისაკენ.

№ 4—გადმოკეცილი სამართის შუაგულის პირდა-პირ სახით ლაფეტისაკენ, მე-2 ნომერზე გასწორებით;

№ 5—ყუთის შუაგულის უკან, სახით მინდვრისაკენ, მე-3 ნომერზე გასწორებით;

№ 6—მე-5 ნომერზე მარცხნივ, სახით ლაფეტისაკენ, მარცხენა მხარით მჭიდროდ ყუთის მარცხენა ნაწილთან;

№№ 1, 2 და 4 ეფარებიან ფარებს, №№ 3, 5 და 6—ყუთს;

№№ 7 და 8 იმყოფებიან ყუთის წინალთან და მის პოზიციიდან გაყვანის შემდეგ დგებიან $^1/_2$ ნაბიჯზე ყუთის წინალის უკან, სახით ზარბაზნისკენ, № 8-ე მე-7 ნომერზე უფრო მარცხნივ; თუ №№ 7 და 8 მიიღებენ ბრძანებას დარჩნენ ზარბაზანთან, მაშინ ზარბაზნის ნაცვალი მათ ადგილებს უჩვენებს.

ზარბაზანთან მოქმედების დროს №№ 1 და 2 ზიან გადასაკეც საჯდომებზე; ზარბაზნის ნაცვალი და დანარჩენი ნომრები, თუ არ მიიღებენ განსაკუთრებულ მრძანებას, არიან დაჩოქილები მუხლების ქვეშ სამუხლეებ ამოდებულები. ნომრებს ნება ეძლევათ მიიღონ ისეთი მდგომარეობა, რომელიც მათთვის მოსახერხებელი და ადვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება თავიანთ მოვალეობის შესასრულებლად და ამასთანავე დარჩნენ შეძლებისამებრ მოფვარებულად. ლაფეტის უკან დაცურების შეწყვეტამდე (მაგარსა და მჭიდრო ნიადაგზე—პირველ გასროლის შემდეგ, რბილ ნიადაგზე კი—მე-2, მე-3 გასროლის შემდეგ) ნომრები გასროლის წინ შორდებიან ზარბაზანს იმდენად, რომ ლაფეტმა უკან დაცურების დროს არ გაჰკრას მათ.

როცა დაცურება შესწყდება № 3 დგება ზარბაზნის სახაზინო ჩამონაკვეთიან № 1-ს უკან, № 4—სამართთან.

თ ა ვ ი II.

ზარბაზნის სროლისთვის მომზადება.

6. ზარბაზნისა და ყუთის პოზიციაზე დალაგების შემდეგ—უგანკარგულოს:

ს ა ს რ ო ლ ა დ!

ამ განკარგულებით ნომრები იხსნიან ხმლებს და დახვეულ მაზარებს (ფარაჯებს) ალაგებენ 4 ნაბიჯზე ყუთის უკან, რის შემდეგ:

№ 1: ა) ხდის ხალთას სამიზნოს და სდებს (მას) ლაფეტზე,

ბ) იღებს მე-2 ნომლისაგან პანორამას,

გ) სდებს მას სამიზნოს ბუდეში,

დ) გადაჰყავს თარაზოს სახურავი,

ვ) ათვალიერებს კუთხისაზომს, სამიზნოს, თარაზოს და მოჰყავს ისინი ძირითად[1]) მდებარეობაში.

№ 2. ა) იღებს პანორამის ყუთიდან პანორამას,

ბ) გადასცემს № 1—ელს.

გ) დაუშვებს ქვეითას და ასწევს ზევითა ნაწილს ფარისას.

დ) ხდის ხალთებს ზარბაზნის სახაზინო ნაწილს და ტუჩის და სამიზნოს ხალთასთან ერთად აწყობს მათ ჩამოხსნილ ხმლებთან,

ე) აძრობს სალაშქრო ჭინჭილაკს;

ა) ყუთის გაღებაში და მისი კარების ჩამოშვებაში,

---

[1]) ძირითადი მდებარეობა: სამიზნო დაშვებულია უკრამდე: კუთხისაზომი და თარაზო=30 - 0; ამრეკველი=0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ორი ვაზნებიანი ლანკანის ამოღებაში და მათ მიწაზე დალაგებაში;

შენიშვნა: თუ ზარბაზანს ყუთი არ უდგია და მიწვდა სწარმოებს ზარბაზნის წინალიდგან, რომელიც დგას ზარბაზნის უკან, მაშინ: № 3: ა) მიირბენს ზარბაზნის წინალთან.

ბ) იღებს იქიდან ერთ ლანკანს ვაზნებით

გ) მიაქვს ზარბაზანთან და სდებს ლაფეტის მარცხენა ლასტის გასწვრივ, № 1-ს უკან ისე, რომ ზარბაზნის თვალი გაცურების დროს ზედ არ შესდგეს.

№ 4: ა) გადაკეცავს სამართს,

ბ) გამოხსნის ნიჩბებს, ზუმბას, საოს და აწყობს მათ 2 ნაბიჯზე ლაფეტის მარჯვნივ;

№№ 5 და 6: ა) აღებენ ყუთს და ჩამოუშვებენ მის კარებს;

ბ) იღებენ ორ ლანკანს ვაზნებით და აწყობენ მათ მიწაზე,

გ) აღებენ ლანკნებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ 7 და 8, თუ დატოვებულები იქნებიან ზარბაზანთან, იქცევიან ზარბაზნის ნაცვალის ჩვენებისამებრ.

ყველა ნაჩვენებ მოქმედებათა შესრულების შემდეგ ზარბაზნის ნაცვალი და ყველა ნომრები დაიჩოქებენ თავის ადგილებზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III.

ს რ ო ლ ა.

7. განცალკევებულ **დამიზნებით** **შრაპნელის** სროლის დროს—უგანკარგულოს:

1. **ამა და ამ მიზანში!**
2. **დაუმიზნე ამა — და — ამისკენ!**
3. **კუთხისაზომი 00 — 00!** [1])
4. **თარაზო 00 — 00!** [2])
5. **სამიზნო 00!**
6. **მილი 00!** (დაცემაზე! კარტეჩი!)

№ 1: ა) აყენებს კუთხისაზომს და სამიზნოს განკარგულებით ნაჩვენებ დანაყოფთა რიცხვზე და ხმა მალლა იმეორებს ყველა დაყენებას,

ბ) დაუმიზნებს ზარბაზანს ნაჩვენებ წერტილში,

---

[1]) პირველი ორი ციფრი ეხება მეორე ორი—პანორამის კუთხისაზომის დალაბანდს.

[2]) პირველი ორი ციფრი ეხება ოკალს, მეორე ორი—თარაზოს დალაბანდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) როცა ზარბაზანი მზად არი გასასროლად,—დაიძახებს: „მზადაა!“ და იღებს ზონარს;

№ 2: ა) გამოსწევს საფრთხილოს (თუ ის ჩაძირულია),

ბ) აღებს საკეტს,

გ) როცა ვაზნა შედებულია ზარბაზანში,—ხურავს საკეტს;

№ 3: ა) იღებს ვაზნას № 5—გან,

ბ) ამოწმებს და ხმამაღლა კითხულობს მილის დაყენებას,

გ) უახლოვდება ზარბაზნის სახაზინო ჩამონაკვეთს,

დ) სდებს ვაზნას ზარბაზანში,

ე) იღებს № 5-გან შემდეგ ვაზნას და უჭირავს ხელში;

№ 4: ა) უახლოვდება სამართს,

ბ) მისი საშუალებით მომიზნეს ჩვენების თანახმად ამოძრავება ხორთუმს;

№ 5: ა) იღებს ლანკანიდან ვაზნას,

ბ) აყენებს მილს განკარგულების თანახმად,

გ) გადასცემს ვაზნას მე-3 ნომერს.

დ) იღებს ლანკანიდან ან მე-6 ნომრისაგან შემდეგ ვაზნას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) ამოწმებს ან აყენებს მილს და უჭირავს ვაზნა ხელში;

№ 6: ა) იღებს ლანკანიდან ვაზნას,

ბ) აყენებს მილს განკარგულების თანახმად და უჭირავს ვაზნა ხელში.

8. შრაპნელით სროლისთვის განცალკევებულად დამიზნების დროს როცა დამიზნება სწარმოებს ამრეკველით ან სამიზნო მილით — უგანკარგულოს:

1. **ამა — და — ამ მიზანში!**
2. **დაუმიზნე ამა — და — ამისკენ!**
3. **ამრეკველი** 0! [1])
4. **კუთხისაზომი** 30 — 0!
5. **სამიზნო** 00!
6. **მილი** 00! (**დაცემაზე! კარტეჩი!**) **განკარგულებით: „ამრეკელი 0.“:**

№№ 1 და 2, თვითეული თავის ადგილიდან, ჩამოუშვებენ ფარის ზევითა ნაწილს.

---

1) პირდაპირი მომართვის დროს პანორამით ამრეკველი დაყენებული უნდა იყოს ხულმუდამ ნოლზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკარგულებით: „სამიზნო მილით“:

№ 1 გადასწევს ფარის ფანჯრის ასაფარებელს.

ორივე შემთხვევაში;

№ 1 დაუმიზნებს ზარბაზანს ნაჩვენებ მიზანს ამრეკველით, ამასთანავე ამრეკველი სულმუდამ დაყენებული უნდა იყოს ნოლზე, სამიზნო მილზე;

№ 4 არ უცდის № 1-ის ჩვენებას და აძლევს ზარბაზანს სამართით ტლანქ მიმართულებას მიზნისაკენ.

ყველა დანარჩენი მოქმედებანი ნომრების მიერ სრულდება ისე, როგორც განცალკევებულ დამიზნებით სროლის დროს.

№№ 1 და 2, რა წამს გათავდება სროლა ამრეკველით, სწევენ მაღლა ფარის ზევითა ნაწილს.

№ 1, რა წამს გათავდება სროლა სამიზნო მილით ხურავს ფარის ფანჯრის ასაფარებელს.

9. გრანატით სროლისათვის ყველა შემთხვევებში მიაწოდონ განკარგულება, ისე, როგორც მე-7 და 8 მუხლებშია, მხოლოდ უნდა წინასწარ უგანკარგულოს:

გრანატით!

განკარგულებას კი მილის დასაყენებლად არ იძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

К 11.757/1

ყველა №№ იქცევიან ისე, როგორც შრაპნელით სროლისას, მაგრამ №№ 3, 5 და 6 არ აყენებენ მილს.

10. სროლის საწარმოებლად უგარკანგულოს:

ესა - და - ეს! (ზარბაზნის ნომერი).

№ 1 ისვრის;

№ 2, გასროლის გათავების შემდეგ, აღებს საკეტს.

№№ 1 და 2, ლაფეტის გაცურების შეწყვეტის შემდეგ გადაკეცავენ საჯდომებს და სხდებიან ზედ.

11. გასროლის შემდეგ სამიზნოს და მილის ახალ განკარგულებამდე ზარბაზანს არა სტენიან, მხოლოდ დაუმიზნებენ ღია კლიტით.

მილები შრაპნელებისა, რომლებიც №№ 3, 5 და 6 აქვთ, მზადდებიან თანახმად უკანასკნელ განკარგულების.

ზარბაზნის გასატენად დაყენებათა შეუცვლელად— უგანკარგულოს:

ცეცხლი!

ზარბაზნის გატენის შემდეგ გასროლა სწარმოებს განკარგულებით:

ან: ესა - და - ეს!

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

12. იმ შემთხვევაში თუ სროლის დროს, ყუთი ზარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზანთან არ იმყოფება და ზარბაზნის მიწვდა სწარმოებს ზარბაზნის წინალიდგან, ზარბაზნის ნაცვალი შველის მე-3 ნომერს მილების დაყენებაში.

13. განკარგულებით:

1. ერთი ვაზნა! (ორი ვაზნა!)

2. ჩქარი ცეცხლი!

ზარბაზანი გაისვრის განკარგულებით ნაჩვენებ რიცხვს, ამასთანვე № 1 ყოველ გასროლის წინ ამოწმებს დამიზნებას.

14. განკარგულებით:

კ ა რ ტ ე ჩ ი!

ზარბაზანი, რა წამს მზად იქნება, ისვრის ზარბაზნის ნაცვალის განკარგულებით:

ესა - და - ეს!

15. მილის „კარტეჩ"-ზე დაყენებით სროლის დროს:

ა) დამიზნება ზარბაზნისა სწორდება მხოლოდ მაშინ, როცა ის შესამჩნევად იცვლის ადგილს,

ბ) ხუფი სამანძილო მილს შეიძლება არ მოაგლიჯონ.

16. მოძრავ მიზნებში პირდაპირი დამიზნების სროლის დროს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1: ა) შეუწყვეტლად დაუმიზნებს ზარბაზანს მიზნისკენ განკარგულებამდის:

ან ესა - და - ეს!

ბ) ამ განკარგულებით გაისვრიან იმ დროს, როდესაც მიზანი სამიზნო ხაზს გაუსწორდება.

ზარბაზნის ნაცვალი და დანარჩენი ნომრები მოქმედებენ ისევე, როგორც განცალკევებულ დამიზნებით სროლის დროს.

17. №№ 5 და 6 სარგებულობენ სროლის ყოველი შეწყვეტით და ალაგებენ მასრებს ცარიელ ლანკანში, ლანკნებს კი ყუთებში.

18. აწვის დროს № 1 დაუშვებს ჩახმახს კიდევ ორჯერ, თუ არ მოჰყვა გასროლა, პატარა ხნის შემდეგ:

№ 2: ა) იღებს ვაზნას ზარბაზნის ღრუდან,

ბ) აძლევს მას № 3-ს

№ 3: ა) იღებს მე-2 ნომრისაგან იმ ვაზნას, რომელმაც იმტყუნა და

ბ) სდებს მას ლანკანში.

19. ზარბაზანთან ყოველგვარ მოქმედების შესაჩერებლად უგანკარგულოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესდეგ!

ნომრები სწყვეტავენ ყველა მოქმედებას და რჩებიან იმ ადგილებზე, სადაც მათ მოუსწრო ამ განკარგულებამ.

ზარბაზნის ნაცვალი ამ განკარგულების გაცემის დროს ხელს მაღლა სწევს.

დამიზნულ ზარბაზნის მდებარეობის აღნიშვნა. გადასვლა პირდაპირი დამიზნებიდან განცალკევებულზე.

20. პირდაპირის დამიზნებით სროლის დროს, მოძრავ მიზანში სროლის გარდა, აწარმოებენ აღნიშვნას დამიზნულ ზარბაზნის მდებარეობის სიმაღლეზე და მიმართულებაზე, სროლის შეუფერხებლივ.

ზარბაზნის ნაცვალი აჩვენებს № 1 აღსანიშნავ წერტილს; № 1 მოახსენებს ზარბაზნის ნაცვალს აღნიშვნის დროს მიღებულ დაყენებებს თარაზოსას და პანორამის კუთხისაზომისას.

თუ დამიზნულ ზარბაზნის მიმართულების აღნიშვნის დროს არ აღმოჩნდება მოხერხებული აღნიშვნისთვის საგანი, მაშინ ზარბაზნის ნაცვალის ბრძანებით გამოსდგამენ სარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარს გამოსდგამს № 4.

21. თუ პირდაპირი დამიზნებით სროლის დროს წერტილი დაიმალება ან ცუდათ გამოჩნდება, მაშინ ზარბაზნის ნაცვალის ბრძანებით, № 1 მოუმართავს ალსანიშნავ წერტილში კუთხისაზომის და თარაზოს იმ დაყენებებით, რომლებიც მიიღეს ალნიშვნის დროს.

კუთხისაზომის, თარაზოს, სამიზნოს და მილის დაყენების შეცვლა. მიზნის გამოცვლა. ყუმბარის გამოცვლა.

22. კუთხისაზომის დაყენების გამოსაცვლელად—უგანკარგულოს:

მარცვნივ (მარცხნივ) 00!

ან. კუთხისაზომი 00—00! (ახალი კუთხისაზომის დანაყოფთა რიცხვი).

თარაზოს დაყენების გამოსაცვლელად—უგანკარგულოს:

თარაზო 00—00! (ახალი თარაზოს დანაყოფთა რიცხვი).

ან: თარაზო მეტი (ნაკლები) 00! სამიზნოს დაყენების გამოსაცვლელად—უგანკარგულოს:

00! (ახალი სამიზნოს დანაყოფთა რიცხვი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ შემთხვევაში № 1:

ა) სცვლის დაყენებას (კუთხისაზომისას, თარაზოსას, სამიზნოსას).

ბ) იძახის ხმამაღლა ახალ დანაყოფს.

გ) ასწორებს დამიზნებას და მიმართავს დახმარებისათვის მე-4 ნომერს მიმართულების შეცვლის დროს.

დ) როცა ზარბაზანი გასასროლად მზად იქნება, დაიძახებს: „მზადაა“ და იღებს ზონარს.

შენიშვნა. № 2 შველის № 1 სამიზნოს დაყენების გამოცვლაში.

23. მილის დაყენების გამოსაცვლელად—უგანკარგულოს:

მილი 00—00!

ან: დაცემაზე! (კარტეჩი!).

თუ ზარბაზანი გატენილი არ იყო:

№№ 3, 5 და 6 სცვლიან იმ შრაპნელების მილების დაყენებას, რომლებიც მათ ხელში აქვთ, რის შემდეგ:

№ 3 ხმამაღლა იძახის ახალ დაყენებას და სტენის ზარბაზანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ზარბაზანი გატენილი იყო:

№ 2: ა) იღებს ვაზნას ზარბაზნის ღრუდან და უჭირავს (იგი) ხელში.

ბ) ხურავს საკეტს იმის შემდეგ, როცა № 3 შესდებს ზარბაზანში ახალ ვაზნას.

გ) აძლევს მე-3 ნომერს ზარბაზნიდან გამოღებულ ვაზნას.

№№ 3, 5 და 6 ისევე იქცევიან, როგორც იმ შემთხვევაში, როცა ზარბაზანი არ იყო გატენილი, რის შემდეგ:

№ 3: ა) იღებს მე-2 ნომრისაგან ზარბაზნის ღრუდან გამოღებულ ვაზნას და

ბ) უცვლის მას მილის დაყენებას უკანასკნელ განკარგულების თანახმად.

24. მიზნის გამოსაცვლელად (ცეცხლის გადატანა)— უგანკარგულოს:

1. შესდექ!

2. ამა-და-ამ მიზანში!

და შემდეგ, თუ საჭიროა, დაუმატოს განკარგულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანი კუთხისაზომის, თარაზოს, სამიზნოს და მილის დაყენების გამოსაცვლელად.

შესრულება ზემოთ მოხსენებულსამებრ.

25. ყუმბარის გამოსაცვლელად—უგანკარგულოს:

1. შესდექ!

2. გრანატით!

ან. 1. შესდექ!

2. შრაპნელით — მილი .00!

(დაცემაზე! კარტეჩი!)

შესრულება ზემოთმოხსენებულისამებრ.

ზარბაზნის გამოცვლა. სრული შეწყვეტა .და დროებითი შეჩერება ცეცხლისა.

26. ცეცხლის დროებით შეჩერებისთვის—უგანკარგულოს:

გამოიღე ვაზნა!

გატენილ ზარბაზანს სცლიან; შემდეგ № 2 სტოვებს საკეტს ღიას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ 3, 5 და 6: ა) აყენებენ „კარტეჩ"-ზე იმ შრა-ჰნელების მილებს, რომლებიც ხელში აქვთ.

ბ) ალაგებენ ვაზნებს ლანკნებში.

გ) ალაგებენ ცარიელ მასრებს ლანკნებში და ამ ლანკნებს—კი (მათთან ერთად)—ყუთში.

ამის შესრულების შემდეგ ყველა ნომრები დგებიან თავის ადგილებზე (მუხლი 5).

მიზანში დამიზნული რჩება ზარბაზანი.

კუთვნილებას არ ალაგებენ.

27. ცეცხლის სრულად შეწყვეტისათვის უგარკანგულოს:

გათავება!

გატენილ ზარბაზანს სცლიან, შემდეგ:

№ 1: ა) ჩამოუშვებს უარამდე ზარბაზნის სახაზინო ნაწილს.

ბ) მოჰყავს ლაფეტი საშუალო მდებარეობაში.

გ) სამიზნოს და თარაზოს აყენებს ძირითად მდებაარეობაში, პანორამის კუთხისაზომს კი 00-00-ზე.

დ) თავსა ჰხურავს თარაზოს.

ე) შველის მე-2 ნომერს ფარის ზევითა ნაწილის ჩამოშვებაში.

ვ) ჰხსნის სამიზნოდან პანორამას და აძლევს № 2-ეს.

ზ) გადმოჰკეცავს თავის საჯდომს.

№ 2: ა) ხურავს საკეტს.

ბ) უყრის სალაშქრო ჭინჭილაკს.

გ) გადმოკეცავს თავის საჯდომს.

დ) ჩამოუშვებს ფარის ზევითა ნაწილს (№ 1-ის დახმარებით).

ე) სწევს მაღლა ფარის ქვეითა ნაწილს.

ვ) იღებს № 1-გან პანორამას და სდებს მას პანორამის ყუთში;

№ 3: ა) იღებს № 2-გან ვაზნას და, თუ იგი შრაპნელია, აყენებს იმის მილს „კარტეჩ"-ზე.

ბ) სდებს ვაზნას ლანკანში.

გ) შველის №№ 5 და 6 მასრების ლანკნებში და ლანკნების ყუთში ჩალაგებაში;

№ 4 გადასდებს სამართს;

№№ 5 და 6: ა) აყენებენ თავის შრაპნელების მილებს „კარტეჩ-—ზე.

ბ) ალაგებენ ვაზნებს და ცარიელ მასრებს ლანკნებში.

გ) ალაგებენ ლანკნებს ყუთებში დაჰხურავენ მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარებს. ზევით მოხსენებულის შესრულების შემდეგ ნომრები ზარბაზნის ნაცვალის ბრძანებით:

ა) ამოაგორებენ ზარბაზანს თვლებისაგან და ხორთუმისაგან დატოვებულ კვლებიდგან.

ბ) აკრავენ რაც ჩამოხსნილი კუთვნილება იყო და აცვამენ ხალთებს.

გ) ჩამოიკიდებენ ხმლებს, ჩამოიცვამენ დახვეულ მაზარებს და დგებიან თავის ადგილებზე (მუხ. 5, ნახ. 1).

თ ა ვ ი IV.

პირადი შემადგენლობის საფარი.

28. სროლის დროს ზარბაზნის ნაცვალი და ნომრები განსაკუთრებულ ბრძანების მიუღებლად ეფარებიან ზარბაზნის ფარს და ყუთს.

შენიშვნა. თუ რაიმე მიზეზისა გამო ზარბაზანთან არ იმყოფება ყუთი, მაშინ შეიძლება მას მოხსნან ფარები, მიიტანონ ზარბაზანთან და ზარბაზნის ნაცვალის ჩვენებით დააყენონ ზარბაზნის მარჯვნივ ან მარცხნივ. ხსნიან ფარებს ყუთიდან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაქვთ ზარბაზანთან: № 5-ეს—წინა ფარი, № 6-ეს —უკანა; ორივე ეს ნომრები, ზარბაზნის ნაცვალის ჩვენების თანახმად, ან რჩებიან ზარბაზანთან და ეფარებიან მოტანილ ფარებს, ან ბრუნდებიან ყუ-თთან.

ამ ფარებს აცლიან ზარბაზანს და უკეთებენ ისევ ყუთს იგივე ნომრები განკარგულებით: „გათავება“.

29. თუ ზარბაზანი დგას სანგარში, ან მის ახლო ამოთხრილია თხრილები, მაშინ ნომრების დასაფარავად—უგანკარგულოს:

შეეფარეთ!

№№ 1, 3, 5, და 6 ეფარებიან მარცხენა თხრილებს, ზარბაზნის ნაცვალი და №№ 2 და 4—მარჯვენას.

30. თუ სასურველია ნომრების ამოფარება რომელიმე ადგილობრივ მყოფ საგნების უკან, მაშინ ამას ასრულებენ იმავ განკარგულებით, წინასწარ მიცემულ ჩვენების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი V.

დაკლებულ ნომრების მოადგილეების დანიშვნა.

31. იმ შემთხვევაში თუ გამოაკლდა ზარბაზნის ნაცვალი, ზარბაზნის უფროსად დგება წინდაწინ დანიშნული მოადგილე, რომელიც ამასთანავე ასრულებს თავის მოვალეობას ნომრისას.

დაკლებული ნომრების მოადგილეები ინიშნებიან ზარბაზნის უფროსის ჩვენებით.

თუ საჭირო იქნება, ნომრის მოვალეობა ზარბაზნის ნაცვალმა უნდა შეასრულოს და აგრეთვე ამისთვის მოწვეულნი უნდა იყვნენ №№ 7 და 8.

თ ა ვ ი VI.

დასვენება და ნომრების შეგროვება.

32. უგანკარგულოს:

მოისაქმე!

ამ განკარგულებას იძლევიან მხოლოდ გამოცლილ ზარბაზანთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) №№ 3, 5 და 6 აყენებენ „კარტეჩ“-ზე იმ შრაკნელების მილებს, რომლებიც მათ ხელში აქვთ.

ბ) აწყობენ ვაზნებს ლანკნებში.

გ) ზარბაზნის ნაცვალი და ნომრები ისწორებენ ტანისამოსს და მოკაზმულობას და შეუძლიათ მიიღონ დასასვენებლად თავისუფალი მდგომარეობა; ზარბაზნისაგან მოშორება შეუძლიათ მხოლოდ უფროსის ნებართვით.

33. განკარგულებით:

1. **ზარბაზნის უკან!**

2. **წა!**

ზარბაზნის ნაცვალი და ნომრები ეწყობიან ერთ ნაბიჯზე ხორთუმის უკან (სამართის უკან, თუ ის გადაკეცილია), სახით ზარბაზნისკენ, ორ მწკრივად, ნომრების რიგზე მარჯვნიდან: კენტი ნომრები პირველი, ლუწი— მეორე მწკრივში, ზარბაზნის ნაცვალი ნომრების მარჯვენა ფრთაზე.

34. განკარგულებით:

1. **ზარბაზანთან!**

2. **წა!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარბაზნის ნაცვალი და ნომრები იჭერენ თავიანთ ადგილებს ზარბაზანთან (მუხლი 5).

თავი VII.

ნომრების თვლა.

პარკში №№ ბის ცვლის საწარმოო მაცადინობის დროს უგანკარგულონ:

ნომრებო გასაცვლელად

წა!..

პირველი განკარგულების შესასრულებლად №№ 1, 2, 3, 4 და 5 მობრუნდებიან მარცხნისაკენ, მე № 6 კი— ირგვლივ.

მეორე განკარგულებით № 6 მიდის ზარბაზნის და ყუთის წინ მე № 2-ს ადგილას; № 5—მე № 6-ს ადგილას; მე № 3 —მე № 5 ადგილზე; № 1—მე № 3 ადგილას; № 4—მე № 1 ადგილას; მე № 2—მე № 4 ადგილას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება II

გაუბიცასთან მოქმედება

თავი I

პირადი შემადგენლობის დათვლა და პიროვნებათა ადგილები.

1) ზარბაზანი და ყუთი შეადგენენ განუყოფელ ერთეულს.

2) ზარბაზანთან და ყუთთან სიმოქმედით ინიშნება ზარბაზნის ნაცვალი, ყუთის მტარებელი ორ ზარბაზანზე 1 და 8 ნომერი:

№ 1—დამმიზნებული
№ 2—მესაკეტე
№ 3—გამტენი
№ 4—მესამართე
№ 5—დამყენებელი
№ 6—მემასრე
№ 7—მესამართე
№ 8—მეყუთე

სროლის დროს ყუთი უნდა იდგეს ზარბაზნის გვერდით $^1/_2$ ნაბიჯზე მარცხნივ ისრით სროლის პირისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუთის ღერძი უნდა იქნეს 1 ნაბიჯზე საომარ ღერძის უკან. კარები გაღებული და აწეულია.

ორი ლანკანი ვაზნით ამოღებულია ყუთიდგან და ყუთის კარის და ნომრების შორის ლანკანები—ღიაა.

შენიშვნა. თუ ბრძოლის პირობები მოითხოვს, ყუთი შეიძლება დადგმული იქნეს ზარბაზნის მარჯვნით.

4. ზარბაზნის ნაცვალი არის ზარბაზნის უფროსი, ის მოვალეა დასდგას ზარბაზანი პოზიციაზე შეძლებისამებრ ისე, რომ გვერდზე არ იყოს გადახრილი; უბრძანოს ამოთხარონ კვალი სახნისის მისაბჯენათ.

ბ) დაფარულ პოზიციაზე ზარბაზნის დადგმის შემდეგ უბრძანოს საფარის თხემზე ზარბაზნის დამიზნებით განსაზღვროს უმცირესი სამიზნო, როგორც ზარბაზნის ღერძის მიმართულებით, აგრეთვე მის ორთავე მხარეს, დახლოვებით, სწორი კუთხის ფარგლებში (და დანაყოფი კუთხის საზომის 3,0--4,0).

გ) თვალყური ადევნოს რომ ზარბაზნის პირდაპირ არ იქნეს ისეთი საგნები, რომლებსაც შეუძლია შრაპნელების ნაადრევი გასკდომა გამოიწვიოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) თვალყური ადევნოს ნომრების სწორე და სწრაფ მოქმედებას.

ე) თვალყური ადევნოს მატერიალურ ნაწილის რიგიან მდგომარეობას და ზომა მიიღოს დაზიანებულის გასასწორებლათ.

ვ) თვალყური ადევნოს ზარბაზნის უახლოეს მიწვდის განუწყვეტლობას.

ზ) უბრძანოს ზარბაზნის გაგორება სხვა ადგილზე ($1\frac{1}{2}$—2 ნაბიჯზე), თუ ხორთუმის ქვეშ მიწა გაფხვიერდა (როდესაც დამიზნების წერტილი 100 საჯენზე ახლოა— ზარბაზანი წერტილის მიმართულებით უნდა გაგორდეს)

ც) მიიღოს და ჩაიწეროს ზარბაზნის შესახები დაყენებანი და გადასცეს ისინი თავის ზარბაზანს მათი საბოლოო მნიშვნელობით. ჩაიწეროს ზარბაზნის მიღებული დაყენებანი და ნომრები.

თ) პირდაპირი დამიზნებით სროლის დროს, თუ დამიზნების წერტილი ცუდათ გამოჩნდება, ან დაიმალება, უნდა უბრძანოს პირველ ნომერს გადავიდეს განცალკევებულს დამიზნებაზე.

ი) სახიფათო სიახლოეზე ნიშანში სროლის დროს— უჩვენოს № 1-ს მიზნის არე.

კ) ბრძოლის დროს თვალყური ადევნოს, რომ ნომრებმა მოიხმარონ ფარი და ყუთი მტრის ნასროლისაგან დასაფარავად, სროლის დროებითი შეწყვეტის დროს კი უბრძანოს ამოთხარონ თხრილები ნომრებისთვის და საფარები ზარბაზნის და ყუთისთვის თუ ამის შესახებ განკარგულება, იქმნა გაცემული.

ლ) მასრის აწვის შემდეგ თუ ორჯელ ჩახმახის დაცემით არ მოხდა გასროლა—ცოტა ხნის დაცდის შემდეგ, ვინაიდან, გასროლა შესაძლებელია შეფერხდეს, თუ სროლა სწარმოებდა ზარბაზნებით ან ერთი ზარბაზნით უბრძანოს ნომრებს „გატენეთ ზარბაზანი ახალი მასრით“. სხვა სახით სროლის დროს ზარბაზანი იცლება და არ იტენება შემდეგ განკარგულებამდის. ხმა მაღლა აუწყებს მწყობრის თავს: „ეს და ეს ზარბაზანი აიწვა“. ზარბაზნის ღრუში მასრის გაჭედის დროს უბრძანოს № 4-ს ზუმბით გამოაგდოს იგი ტუჩიდან;

ნ) თუ ყუმბარა გაიჭედა, ისე მოიქცეს როგორც მეორე დამატებაშია ნაჩვენები.

ო) იმ შემთხვევაში თუ თვითონ გამოაკლდება, უნდა დანიშნის თავის მოადგილეთ რომელიმე ზარბაზნის ნომერთაგანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ზარბაზნის ნაცვალი დგება ყუთის უკან, ერთ ნაბიჯზე №№ 3 და 5—ს უკან; ნომრების მოქმედების დროს კი იქ იმყოფება, სადაც საჭიროდ დაინახავს და, იმის და, მიხედვით თუ რა ადგილზე იმყოფება, ეფარება ფარს ან ყუთს.

ნომრები დგებიან:

№ 1—ლაფეტის ნარცხენა მხარეზე, სახით მინდვრისაკენ;

№ 2—ლაფეტის მარჯვენა მხარეზე, სახით თითონ ლაფეტისკენ ორთავენი მჭიდროდ ლასტებთან სახაზინო ჩანაკვეთის სიმაღლეზე;

№ 3—ერთ ნაბიჯზე ყუთის უკან, მის მარჯვენა ნაწილის პირდაპირ, სახით მინდვრისაკენ;

№ 4—გადადებულ სამართის შუაგულის პირდაპირ სახით ლაფეტისაკენ, მე—2 ნომერზე გასწორებით;

№ 5—ყუთის შუაგულის უკან, სახით მინდვრისაკენ; მე—3 ნომერზე გასწორებით;

№ 6—მე—5 ნომერზე მარცხნივ-სახით ლაფეტისკენ, მარცხენა მხარით მჭიდროდ ყუთის მარცხენა ნაწილთან,

№ 1, 2 და 4 ეფარებიან ფარებს, №№ 3, 5 და 6 ყუთს;

№ 7—გადაკეცილ სამართის შუაგულის და № 4—ს პირდაპირ, სახით ლაფეტისაკენ, მე-1 ნომერზე გასწორებით.

№ 8—იმყოფება ყუთის წინალთან, და მის პოზიციაზე გაყვანის შემდეგ დგება $^1/_2$ ნაბიჯზე ყუთის წინალის უკან, სახით ზარბაზნისაკენ; თუ № 8 მიიღებს ბრძანებას დარჩეს ზარბაზანთან, მაშინ მის ადგილს უჩვენებს ზარბაბაზნის ნაცვალი.

ზარბაზანთან მოქმედების დროს № 1 ზის გადასაკეც საჯდომზე. ზარბაზნის ნაცვალი, და დანარჩენი ნომრები, თუ არ მიუღიათ განსაკუთრებული ბრძანება არიან დაჩოქილები, მუხლების ქვეშ სამუხლეებზე. ნომრებს ნება ეძლევათ მიიღონ ისეთი მდგომარეობა, რომელიც მათ გაუადვილებს მოვალეობას და ამასთანვე შეძლებას მისცემთ იქმნენ მოფარებულად. ლაფეთის უკან დაცურების შეწყვეტამდე (მაგარსა და მჭიდრო ნიადაგზე—პირველ გასროლის შემდეგ, რბილ ნიადაგზე კი—მე-2, მე-3 გასროლის შემდეგ ნომრები გასროლის წინ შორდებიან ზარბაზანს იმდენად, რომ ლაფეტმა უკან დაცურების დროს არ გაჰკრას მათ). როცა დაცურება შესწყდება № 3 დგება ზარბაზნის ჩამონაკვეთთან № 1-ს უკან; № 4 და № 7-სამართთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი II.

ზარბაზნის სროლისთვის მომზადება.

6. ზარბაზნის და ყუთის პოზიციაზე დაყენების შემდეგ უგანკარგულოს:

საომრად!

ამ განკარგულებით ნომრები იხსნიან ხმლებს და დახვეულ მაზარებს (ფარაჯებს) და ალაგებენ მათ 4 ნაბიჯზე ყუთის უკან, რის შემდეგ:

№ 1: ა) ხდის ხალთას სამიზნოს და სდებს მას ლაფეთზე,

ბ) იღებს მე-2 ნომრისაგან პანორამას.

გ) სდებს მას სამიზნოს ბუდეში,

დ) ათვალიერებს კუთხის-საზომს, სამიზნოს და თარაზოს და მოჰყავს ისინი ძირითად [1]) მდგომარეობაში.

№ 2: ა) იღებს სანაპანორამო ყუთიდან პანორამას

---

[1]) ძირითადი მდგომარეობა: სამიზნო დაშვებულია უარამდე; კუთხის-საზომი და თარაზო=30—0; ამრეკველი=0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გადასცემს № 1-ს.

გ) დაუშვებს ფარის ქვეითა ნაწილს.

დ) ახდის ხალთებს ზარბაზნის სახაზინო ნაწილს და ტუჩს და სამიზნო ხალთასთან ერთად აწყობს მათ ჩამოხსნილ ხმლებთან,

ე) აძრობს სალაშქრო ჭინჭილაკს,

№ 3 შველის № № 5 და 6:

ა) ყუთის გაღებაში და მისი კარების აწევაში

ბ) ორ ყუმბარებიან და მასრებიან ლანკნების ამოღებაში და მათი მიწაზე დალაგებაში;

შენიშვნა: თუ ზარბაზანთან არ იმყოფება ყუთი და კვება სწარმოებს ზარბაზნის წინალიდან, რომელიც იმყოფება ზარბაზნის უკან, მაშინ:

№ 3: ა) მირბის ზარბაზნის წინალთან,

ბ) იღებს იქიდან ერთ ლანკანს ყუმბარებით და მასრებით.

გ) მიაქვს ზარბაზანთან და სდებს ლაფეტის მარცხენა ლასტის გასწრივ, № 1-ს უკან, ისე რომ ზარბაზნის გოგორა გაცურების დროს ზედ არ შესდგეს.

№ № 4 და 7 ა) გადაკეცავენ სამართს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გამოხსნიან ნიჩბებს, ზუმბას და სარს და აწყობენ მათ 2 ნაბიჯზე ლაფეთის მარჯვნივ;

№ № 5 და 6: ა) აღებენ ყუთს და ჩამოუშვებენ მის კარებს,

ბ) იღებენ ორ ლანკანს ყუმბარებით და მასრებით და აწყობენ მიწაზე;

გ) აღებენ ლანკნებს:

№ 8 თუ დატოვებული იქნებიან ზარბაზანთან მოიქცევიან ზარბაზნის ნაცვალის ჩვენებისამებრ

ყველა ნაჩვენებ მოქმედებათა შესრულების შემდეგ, ზარბაზნის ნაცვალი და ყველა ნომრები დაიჩოქებენ თავიანთ ადგილებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი III

სროლა.

განცალკევებულ დამიზნებით შრაპნელით სროლის დროს—უგანკარგულოს:

1) **შრაპნელით!**
2) **ამა-და-ამ მიზანში!**
3) **მოუმარჯვეთ ამა-და-ამისკენ!**
4) **წამალი!**
5) **კუთხის საზომი** 00—00[1])!
6) **თარაზო** 00—00[2])!
7) **სამიზნო** 00!
8) **მილი** 00! (**დაცემაზე! კარტეჩი!**)

№ 1: ა) აყენებს კუთხის-საზომს, თარაზოს და სამიზნოს განკარგულებით დაყოფილ რიცხვზე, და ხმა მაღლა იმეორებს ყველა დაყენებებს.

---

1) პირველი ორი რიცხვი ეხება რგოლს, მეორე ორი—პანორამის კუთხისაზომის დაფს

2) პირველი თრი რიცხვი ეხება რკალს. მეორე ორი—თარაზოს დაფს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოუმარჯვებს ზარბაზანს ნაჩვენებ წერტილს,

გ) როცა ზარბაზანი მზად იქნება გასასროლად—დაიძახებს—„მზადაა“.

№ 2 ა) გამოსწევს მაფრთხილებელს (თუ ჩაძიროულია),

ბ) აღებს საკეტს

გ) როცა ზარბაზანი გატენილია, ხურავს საკეტს და იღებს ზონარს

№ 3 ა) იღებს ყუმბარას № 5-გან

ბ) ამოწმებს და ხმამაღლა კითხულობს მილის დაყენებას,

გ) უახლოვდება ზარბაზნის სახაზინო ჩამონაკვეთს,

დ) სდებს ყუმბარას ზარბაზანში.

ე) იღებს № 6-გან მასრას და სდებს მას ზარბაზანში.

№№ 4 და 7 ა) უახლოვდებიან სამართს,

ბ) მისი საშუალებით მომარჯვებელის ჩვენების თანახმად ამოძრავებენ ხორთუმს;

№ 5 ა) იღებს ლანკანიდან ყუმბარას

ბ) აყენებს მილს განკარგულებისამებრ

გ) გადასცემს ყუმბარას მე 3 ნომერს

დ) იღებს ლანკანიდან შემდეგ ყუმბარას

ე) ამოწმებს ან აყენებს მილს და და უჭირავს ხელში.

№ 6 ა) იღებს ლანკანიდან მასრას და გადასცემს მე 3 ნომერს.

ბ) ამოწმებს.

გ) იღებს ლანკანიდან შემდეგ მასრას.

ზარბაზნის ნაცვალი როცა ზარბაზანი მზად არი გასასროლად მაღლა აწევს ხელს.

8. შრაპნელით სროლისთვის—განუცალკევებელ დამიზნების დროს, როცა მომარჯვება სწარმოებს ამრეკველთან საჭვრეტი მილით უგანკარგულოს:

1) შრაპნელით (ბომბით)!

2) ამა-და-ამ მიზანზი!

3) მოუმარჯვე ამა-და-ამისაკენ!

4) ამრეკველი 0[1])!

5) წამალი!

6) კუთხის-საზომი 00—00!

7) სამიზნო 00!

---

[1]) პანორამით პირდაპირი მომარჯვების დროს ამრეკველი დაყენებული უნდა იყოს სულ მუდამ ნოლზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

8) მილი 00! (დაცემაზე! კარტეჩი!)

ან: 1) შრაპნელით! (ბომბით!)

2) ამა-და-ამ მიზანში!

3) მოუმარჯვე ამა-და-ამისკენ!

4) საჭვრეტი მილით!

5) წამალი!

6) სამიზნო 00!

7) მილი 00! (დაცემაზე! კარტეჩი!)

განკარგულებით: „ამრეკველით 0“.

№№ 1 და 2, თვითეული თავის ადგილიდან, ჩამოუშვებენ ფარის ზევითა ნაწილს.

განკარგულებით: „საჭვრეტი მილით“:

№ 1 გადასწევს ფარის ფანჯრის მოსაფარებელს ორივე შემთხვევაში:

№ 1 მოუმარჯვებს ზარბაზანს ნაჩვენებ მიზანში ამრეკველით, ამასთანავე ამრეკველი სულ მუდამ დაყენებული უნდა იყოს ნოლზე, ან საჭვრეტელ მილზე.

№ 4 არ უცდის № 1-ის ჩვენებას და აძლევს ზარბაზანს სამართით ტლანქ მიმართულებას მიზნისაკენ.

ყველა დანარჩენი მოქმედებანი სრულდება ნომრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მიერ ისე, როგორც განცალკევებულ დამიზნებით სროლის დროს.

№№ 1 და 2 რა წამს გათავდება სროლა ამრეკველით სწევენ მაღლა ფარის ზევითა ნაწილს.

№ 1 რა წამს გათავდება სროლა საჭვრეტელის მილით ხურავს ფარის ფანჯრის მოსაფარებელს.

9. ბომბით სროლისთვის ყველა შემთხვევებში მიაწოდოს განკარგულებანი ისე, როგორც მე-7, და 8 მუხლებშია, მხოლოდ წინასწარ უნდა უგარკანგულოს: ბომბით!

მილის დასაყენებელ განკარგულებას კი არ იძლევა. ყველა ნომრები იქცევიან ისე, როგორც შრაპნელით სროლის დროს, მხოლოდ № 3 და 6 არ უყენებენ მილს.

10. სროლის საწარმოებლად—უგანკარგულოს:

ესა-და-ეს! (ზარბაზნის ნომერი).

№ 1 ან № 2 ისვრის. თუ სროლა სწარმოებს გრძელი ზონარით—ისვრის № 2; თუ სროლა სწარმოებს უზონაროდ ისვრის № 1.

№ 2 გასროლის გათავების შემდეგ, აღებს საკეტს.

№ 1 ლაფეტის გაცურების შეწყვეტის შემდეგ, გადაჰკეცავს საჯდომს და სხდება ზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასროლის შემდეგ სამიზნოს და მილის ახალ განკარგულებამდე ზარბაზანს არა სტენიან, მხოლოდ მოუმარჯვებენ ლია საკეტით.

მილები შრაპნელებისა, რომლებიც №№ 3 და 5, იმყოფებიან-მზადდებიან თანახმად უკანასკნელ განკარგულების.

ზარბაზნის გასატენათ დაყენებულია შეუცვლელად — უგანკარგულოს:

ცეცხლი!

ზარბაზნის გატენის შემდეგ გასროლა სწარმოებს განკარგულებით:

ესა-და-ეს!

12. იმ შემთხვევაში თუ სროლის დროს, ყუთი ზარბაზანთან არ იმყოფება, და ზარბაზნის მიწვდა სწარმოებს ზარბაზნის წინალიდან, ზარბაზნის ნაცვალი შველის მე-3 ნომერს მილების დაყენებაში.

დანარჩენი მოქმედებანი სრულდება ისე, როგორც არის ნაჩვენები სუბუქი არტილერიისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება III.

სწავლა შემბული ზარბაზნით.

თ ა ვ ი I.

პირადი და ცხენების შემადგენლობის დათვლა და შემბა.

36. შემბულ ზარბაზანთან და ყუთთან იმყოფებიან ზარბაზნის ნაცვალი, ყუთის გამძღოლი, 8 ნომერი და 6 მეცხენოსნე.

თვითეულ შემბულობაში 3 მეცხენოსნე: საძირე, შუა და წინა საყევარისა.

37. ზარბაზანსა და ყუთში აბავენ სამ-სამ წყვილ ცხენს: საძირე წყვილი, შემბული ლაჯანში წყვილი შუა საყევარისა, მიბმული გასაწევ საყევარში, და წყვილი წინა საყევარისა, მიბმული შუა საყევარზე. თვითეულ წყვილში მარცხენა ცხენს, მეცხენოსნესთვის რომ არის, ჰქვიან უნაგრიანი, მარჯვენას კი—სადავიანი ცხენი.

38. შესამბელად ზარბაზნის ნაცვალი უგანკარგულებს:

შუაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ განკარგულებით მეცხენოსნეებს მოჰყავთ ცხენები ზარბაზანსა და ყუთთან; ნომრები მიდიან ცხენებთან და აბამენ; ზარბაზანთან—№№ 2 და 3 საძირე ცხენებს, №№ 4 და 5—მიმდევრობით შუა და წინა საყევარს ამასთანავე წყვილი ნომრები—უნაგრიანებს, კენტი ნომრები კი—სადავიანებს; ყუთთან—№ 6 საძირე ცხენებს, №№ 7 და 8 მიმდევრობით შუა და წინა საყევარს, ამასთანავე № 8—უნაგრიანებს, ნომერი მე-7 კი—სადავიან ცხენებს. მეცხენოსნეები შველიან ნომრებს ცხენების შემბაში, საძირე ცხენოსნები კი, გარდა ამისა, თვითონა ჰკრავენ სამატებს.

შემბის გათავების შემდეგ ზარბაზნის ნაცვალი განკარგულებას მისცემს:

1. **ზარბაზანთან!**

2. **წა!**

მეორე განკარგულებით ნომრები მიდიან ზარბაზანთან და ყუთთან.

შენიშვნა. № 1 ათვალიერებს ზარბაზანს და ზარბაზნის წინალს და, თუ ნაბრძანებია, ჰხდის ხალთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

39. პასუხისმგებლობა შემბულობის წყვილის რიგიანობაში და სისწორეში ადევს შესაფერ მეცხენოსნეს; პასუხისმგებლობა ყუთია შემბულობის რიგიანობაში და სისწორეში ადევს ყუთის გამძღოლს; ზარბაზნისა და ყუთისა კი — ზარბაზნის ნაცვალს.

40. გამოსაშვებათ ზარბაზნის ნაცვალი უგანკარგულებს:

გამოუშვი!

ამ განკარგულებით ნომრები, როგორც შემბის დროს, მიდიან ცხენებთან და გამოუშვებენ ცხენებს, ამასთანავე №№ 4 და 5—მიმდევრობით წინა და შუა საყევარს.

თ ა ვ ი II.

ზარბაზნის წესრიგები.

41. **წესრიგი ბრძოლისთვის:** 1) ზარბაზანი და ყუთი ჩამოლებულია წინალებიდან და დალაგებულია ერთი მეორის გვერდით (ნახ. 2), წინალები იმყოფებიან საფარის უკან ან უფროსისაგან ნაჩვენებ ხანზე (ფრთის უკან, ან უკან); 2) ზარბაზანი ჩამოლებულია წი-

ნალიდან (ნახ. 3), ზარბაზნის წინალი დგას ზარბაზნის უკან ზურგით ზარბაზნისკენ; ყუთი იმყოფება ზარბაზნის წინალის წინ ან გაჰყავთ საფარის უკან (ახლო წაყენება).

42. **წესრიგი მოძრაობისთვის:** ზარბაზანი და ყუთი ჩამოცმულია წინალებზე. ორივე შემბულობა იმყოფება ან ერთი მეორის უკან 3 ნაბიჯის ხანაზე (ნახ. 4), ან ერთი მეორის გვერლით 6 ნაბიჯის ხანაზე (ნახ. 5 და 6).

43. ხანები შემბულობათა შორის ითვლება წინა შემბულობის ბოლოდან უკანა შემბულობის თავამდის მოძრაობის ხაზზე.

44. **ხანები.** შემბულობათა შორის ითვლება ერთი შემბულობის შუაგულიდან მეორის, გვერდზე მდგომის, შუაგულამდის, იმ ხაზზე, რომელიც პერპენდიკულარულია მოძრაობის მიმართულებასთან.

თ ა ვ ი III.

ჯარისკაცთა ადგილები ადგილზე დალაგების დროს და მოძრაობაში.

45. ზარბაზნის ნაცვალი (ყუთის გამძღოლი) მეთაურ შემბულობისა—ამავე შემბულობის წინ, უკანასი კი—წინაგაწევის ცხენოსნის გვერდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთაურ შემბულობის წინა საყევარის, მეცხენოსნე—ერთ ნაბიჯზე ზარბაზნის ნაცვალის უკან (ყუთის გამძღოლის უკან), ამასთანავე ცხენი ჰყავს მარჯვნით ზარბაზნის ნაცვლისაგან (ყუთის გამძღოლისაგან), უნაგრიანი კი—იმის მარცხნით; დანარჩენი ორივე შემბულობების გასწორებულნი არიან კეფაში (ნახ. 4). თუ ყუთი გვერდზე სდგას, მაშან ყუთის გამძღოლი და ყუთის მეცხენოსნეები სწორდებიან ზარბაზნის ნაცვალზე და შესაფერ ზარბაზნის მეცხენოსნეებზე.

46. ადგილზე დალაგების დროს ნომრები დგებიან მე-5 ნახატის თანახმად.

47. ზარბაზანი და ყუთი მოძრაობენ მათზე მჯდომარე ნომრებით, რომლებიც ჯდებიან მოძრაობის დაწყებისათანავე განკარგულებით, რომელიც ნიშნავს ალლურს, მოძრაობაში კი, თუ ნომრები რაიმე მიზეზისა გამო არა სხედან,—განკარგულებით:

ნომრებო დაჯექით!

№№ 1, 2 და 3 ჯდებიან ზარბაზნის წინალზე, №№ 7 და 8 ყუთის წინალზე და №№ 4, 5 და 6 ყუთზე (ნახ. 6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. განკარგულებით:

სმენა!

ნომრები ჰკიდებენ მარჯვენა ხელებს სახელურებს.

58. განკარგულებით:

ნომრებო ჩამოდი!

ან: ნომრებო ნუ დაჯდები!

ნომრები დალაგდებიან (რჩებიან) ზარბაზნისა და ყუთის აქეთ იქით (ნახ. 5).

თ ა ვ ი IV

შემბულ ზარბაზნის მოძრაობა.

ალლურები.

49. **ნაბიჯი**—სისწრაფით 5—6 ვერსი საათში (1 ვერსი 12—10 წუთში).

ჩოჩთი—სისწრაფით 12 ვერსი საათში (1 ვერსი 5 წუთში), შეუწყვეტლივ არა უმეტეს 3 ვერსისა.

ნავარდი—სისწრაფით 14—16 ვერსი საათში (1 ვერსი თითქმის 4 წუთში), შეუწყვეტლივ არა უმეტეს 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთისა; მოძრაობა ნავარდით იხმარება განსაკუთრებულ შემთხვევებში, ამასთანავე დასაშვებია ყველა ცხენები არ აჭენონ.

50. ცვალებადი ალლურით მოძრაობის დროს უნდა იარონ სისწრაფით 7-გან 8 ვერსამდის საათში, ხან ნაბიჯით, ხან ჩორთით.

შენიშვნა. ცუდ გზებზე და მძიმე ნიადაგზე მოძრაობის დროს 49 და 50 მუხლებში ნაჩვენები ნომრები მცირდება,

განკარგულებანი.

51. განკურგულებანი გაიყოფებიან წინასწარზე და ალსასრულებელზე. პირველს ჰყოფს მეორისაგან მცირედი დროს დახანება.

52. ალსასრულებელი განკარგულებანი; **წა! პირდაპირ, შესდექ და გასწორდი**, აგრეთვე განკარგულება დიდი ალლურიდან პატარა ალლურზე გადასასვლელად, გამოითქმიან გრძლათ.

53. განკარგულება, რომელიც ნიშნავს ალლურს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოითქმის უკანასკნელ წინასწართან ერთად, დაუყოვნებლივ განკარგულების „წა“-ს წინ.

მოძრაობის დასაწყისი.

54. ცხენიან ჯარისკაცთა შისასხდომათ—უგანკარგულოს:

1. ცხენებთან!

2. შესჯექ!

პირველ განკარგულებით ისინი მიდიან თავის ცხენებთან, მეორეთი კი—სხდებიან; №№ 3 და 7 მეორე განკარგულებით ჰკრავენ ლატანის კონკილებს: № 3—ზარბაზნის წინალთან, № 7—ყუთის წინალთან.

55. მოძრაობის დასაწყებათ—უგანკარგულოს:

1. ნაბიჯით (ჩოჩითით, ნავარდით!)

2. წა!

ან: 1. მიმართულება იქითკენ, ალლური!

2. წა!

მოძრაობის დროს ზარბაზნის ნაცვალს (ყუთის გამძღოლს) უჭირავს ნაჩვენები მიმართულება და მიჰყავს თავის ცხენი დანიშნული ალლურით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

56. ხანა მეთაურ შემბულობაში ზარბაზნის ნაცვალის (ყუთის გამძღოლის) და წინა საყევარის მეცხენოსნის შორის დამოკიდებულია ალლურზე: ნაბიჯით სიარულის დროს—1 ნაბიჯი, ჩორთით—3 ნაბიჯი და ნავარდით 6 ნაბიჯი; ხანა ზარბაზანსა და ყუთს შორის: ნაბიჯით და ჩორთით სიარულის დროს—3 ნაბიჯი, და ნავარდით 6 ნაბიჯი.

უსწორ-მასწორ-ადგილზე მოძრაობის დროს ხანა ზარბაზნისა და ყუთს შორის შეიძლება გაადიდონ.

57. ზარბაზნის ნაცვალს (ყუთის გამძღოლს), მიჰყავს რა ზარბაზანი (ყუთი), თვალს ადევნებს წინ მდებარე ადგილს, უვლის დაბრკოლებებს და, თუ შემთხვევა მოითხოვს, უცბად შემბულობის გაჩერებას—სწევს მარჯვენა ხელს მაღლა; გარდა ამისა, თუ საჭიროა, უგანკარგულოს:

ფეხებ ქვეშ!

რათა მიიპყროს ყურადღება მეცხენოსნეებისა.

თუ საჭიროება მოითხოვს ზარბაზნის ნაცვალი (ყუთის გამძღოლი), გააფრთხილებს რა წინა საყევრის მეცხენოსნეს, გამოეყოფა შემბულობას, რამდენზედაც საჭიროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

58. ალლურის გასადიდებლად—უგანკარგულოს:

1. **ჩოლთით (ნავარდით)!**

2. **წა!**

59. ალლურის შესამცირებლად—უგანკარგულოს.

ნაბიჯით (ჩოლთით)!

ზარბაზნის გაჩერება.

60. ზარბაზნის (ყუთის) გაჩერება შეიძლება შემდეგ სივრცეზე: ნაბიჯით მოძრაობის დროს—5 ნაბიჯი, ჩოლთით—10 ნაბიჯი და ნავარდით—20 ნაბიჯი.

61. ზარბაზნის გასაჩერებლად—უგანკარგულოს:

1. **ზარბაზანო!**

2. **შესდექ!**

62. ზარბაზნის გასასწორებლად—უგანკარგულოს:

გასწორდი!

ამ განკარგულებით ზარბაზნის ნაცვალი ან ყუთის გამძღოლი გამოდიან 6 ნაბიჯზე წინ და ჩერდებიან, თუ ერთი მეორის გვერდით იყვნენ (ნახ. 5 და 6), მაშინ ორივენი გამოდიან ერთსა და იმავე დროს და გაჩერების შემდეგ ყუთის გამძღოლი სწორდება ზარბაზნის ნაცვალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემბულობებს მიაწევინებენ თავთავიანთ ადგილებამდის, კეფაში გასწორებით, და თუ გვერდზე უდგნენ, მაშინ ყუთის შემბულობის მეცხენოსნეები, გარდა ამისა, სწორდებიან ზარბაზნის შემბულობის მეცხენოსნეებზე.

63. ცხენიან ჯარისკაცების დასაჭვეითებლად—უგანკარგულოს:

ჩამოხტი!

ამ განკარგულებით ცხენიან ჯარისკაცების გარდა, ჩამოდიან ნომრებიც, თუ ისინი ისხდნენ.

თუ ნაბძანები იქნება ჩამოუშვან კონკილები, მაშინ ამას ასრულებენ №№ 3 და 7.

მოძრაობის მიმართულების შეცვლა.

64. მოძრაობის მიმართულების შეცვლა სწარმოებს:

ა) ნახევარ მობრუნებით (45°-ზე), მობრუნებით (90°-ზე) და ორგვლივ მობრუნებით (180°-ზე);

ბ) სასურველ კუთხეზე მხრით შემოვლით.

65. მობრუნებათა შესასრულებლად—უგანკარგულოს:

1. **ნახევარ-მობრუნება მარჯვნისაკენ (მარცხნისაკენ).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან: მარჯვნისაკენ (მარცხნისაკენ)!

ან: მარჯვნისაკენ (მარცხნისაკენ) ზურგისაკენ!

2. წა!

66. შემოვლის შესასრულებლად—უგანკარგულოს:

1. მარჯვენა (მარცხენა) მხარი წინ!

2. წა!

3. პირდაპირ! ან: მიმართულება ამა-და-ამისაკენ!

მხრით შემოვლის დროს შემოვლის სიდიდე განისაზღვრება ან განკარგულებით „პირდაპირ“, რომლის თანახმად ზარბაზნის ნაცვალს (ყუთის გამძღოლს) მიჰყავს ზარბაზანი (ყუთი) იმ მიმართულებით, რომელიც მას ჰქონდა ამ განკარგულების მიცემის წამს, ან იმ საგნის ჩვენებით, რომლისკენაც საჭიროა მიმართულების დაჭერა.

67. ზარბაზნის ნაცვალი (ყუთის გამძღოლი), მიდის ორ შემბულობის წინ, ასრულებს მობრუნებებს და შემოვლებს 6 ნაბიჯიან რადიუსის რკალით. მძიმე ნიადაგის და დიდის სისწრაფით მოძრაობის დროს მობრუნების (შემოვლის) რადიუსი უნდა გადიდდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილზე მობრუნების (შემოვლის) შესრულების დროს ზარბაზნის ნაცვალი (ყუთის გამძღოლი) და მეცხენოსნეები იწყებენ მობრუნებას (შემოვლას), წინასწარ 3 ნაბიჯის გავლის შემდეგ პირდაპირი მიმართულებით.

68. თუ შემბულობები იმყოფებიან ერთი მეორის უკან, მაშინ ყველა მობრუნებებს ასრულებს თვითეული მათგანი ცალკე. 45°-ზე და 90°-ზე მობრუნების შემდეგ შემბულობები იკავენ მიღებულ ხანებს მიუჯრელად; ამ მდგომარეობაში მობრუნების დროს ზარბაზანი და ყუთი ასრულებენ მობრუნებას აგრეთვე ცალ-ცალკე (ნახ. 7 და 8); თუ საჭიროება მოითხოვს შემბულობების მიჯრას (6 ნაბიჯზე)—უგანკარგულოს:

1. **ყუთი ზარბაზანთან (ზარბაზანი ყუთთან)!**

2. **წა!**

ამ განკარგულებებით ნაჩვენები შემბულობა სულ მოკლე გზით უახლოვდება მეორეს 6 ნაბიჯზე.

69. მობრუნების ყველა შემთხვევებში უნდა გასწორდნენ წინ მყოფ შემბულობის მხარეზე.

70. თუ შემბულობანი იმყოფებიან ერთი მეორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან, მაშინ შემოვლა სრულდება მეთაურ შემბულობისაგან, უკან მიმავალი კი მისდევს მას.

71. თუ ზარბაზანი და ყუთი მეორის გვერდით არიან (ხანა 6 ნაბიჯი), ამ შემთხვევაში შემოვლის შესასრულებლად შიგნითა შემბულობა ასრულებს შემოვლას იმავ ალლურით ისე, რომ უსწორდებოდეს შემომვლელ შემბულობას; გარეთა შემბულობა ალლურის მომატებით უვლის განკარგულებით ნაჩვენებ მხარეს რკალებრ ისე, რომ დაიცვას ხანა შიგნითა შემბულობასთან (ნახ. 9).

მობრუნებას ამ შემთხვევაში ასრულებენ, როგორც შემოვლებს, მხოლოდ შიგნითა შემბულობა, შეასრულებს რა მობრუნებას, მიდის ახალი მიმართულებით უგანკარგულებოთ: „პირდაპირ“ ან „მიმართულება ამა-და-ამისაკენ“ (ნახ. 10).

თ ა ვ ი V.

ზარბაზნის ან ყუთის შემბულობათა გადანაცვლება მოძრაობის წესრიშგი.

72. უკანა შემბულობის გადასანაცვლებლად წინასაგან მარჯვნივ ან მარცხნივ — უგანკარგულოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ყუთო (ზარბაზანო) მარჯვნივ (მარცხნივ)!

2. **წა!**

ნაბიჯით მოძრაობის დროს შემბულობა, განკარგულებაში ნაჩვენები, სულ მოკლე გზით, ჩორთით გამოდის განკარგულებით ნაჩვენებ მხარეზე წინ მიმავალისაგან 6 ნაბიჯიან ხანზე და, როცა გაუსწორდება მას, გადადის ნაბიჯზე. ჩორთით მოძრაობის დროს მეთაური შემბულობა უკლებს, უკანა კი უმატებს ჩორთს.

73. ერთ-ერთ შემბულობის წინ გადასანაცვლებლად უგანკარგულოს:

1. ზარბაზანო (ყუთო) წინ!

2. **წა!**

ნაბიჯით მოძრაობის დროს შემბულობა, განკარგულებაში ნაჩვენები, მიდის ჩორთით, და თუ უკან იყო, მაშინ, გამოვა რა ჩორთით 6 ნაბიჯიან ხანაზე მეორე შემბულობის მარჯვნივ,—უსწორობს მას ახალი მიმართულებით და გადადის ნაბიჯზე.

მეორე შემბულობა, გაატარებს რა თავის ახლო წინ წასაწევ შემბულობას, გაიჭიმება მის უკან. ჩორთით მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრაობის დროს წასაწევი შემბულობა უმატებს, მეორე კი უკლებს. ჩორთს (ნახ. 11).

თ ა ვ ი VI.

ზარბაზნის გადასვლა მოძრაობის წესრიგიდან საბრძოლ წესრიგზე და პირაქეთ.

საზოგადო წესები.

74. ზარბაზნის გადასასვლელად ერთი წესრიგიდან მეორეზე ხმარობენ დახევებს და მიყენებებს.

75. თუ წესრიგში ზარბაზანი იყო მომზადებული სროლისთვის, მაშინ სამოძრაო წესრიგზე გადასვლის წინ უნდა მიცემული იყოს განკარგულება „გათავება“.

76. მოძრაობის მხარეზე სროლისთვის, ორგვლივ მობრუნება სრულდება წინალებიდან ჩამოლებამდის.

77. თუ დახევის და მიყენების შესასრულებლად არ იყო განკარგულებით ნაჩვენები ალლური, მაშინ წინალი მოძრაობს ჩორთით.

78. ყველა მიყენების დროს, განკარგულებით „გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავება" და თუ ამ გვარი არა ყოფილა, მაშინ განკარგულებით „წინალებში" („უკანალებში"), ზარბაზნის ნაცვალი მირბის თავის ცხენთან და ჯდება ზედ.

თუ წინალები იყვნენ საფარს უკან, ან საზოგადოდ მოშორებით ზარბაზნისაგან, მაშინ ზარბაზნის ნაცვალი ჯდება ცხენზე წინალების ზარბაზანთან მოსვლის შემდეგ.

79 ბრძოლის გარემოებას და ადგილის ხასიათს შეუძლიათ გამოიწვიონ აუცილებლობა ხმარებისა არა მარტო ქვეით ნაჩვენები საშვალებების ზარბაზნის გადასვლისა მოძრაობის წესრიგიდან საბრძოლ წესრიგზე და პირაქეთ, არამედ რომელიმე სხვებისაც.

ამ გვარ შემთხვევებში უნდა საზოგადოთ იხელმძღვანელონ ამ თავში მოხსენებული წესებით.

დახევა.

80. დახევის შესასრულებლად — უგანკარგულოს:

1. **ზარბაზანო მარცხნივ (ყუთო მარჯხნივ)!**

2. წა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. **შესდექ!**

4. **წინალებიდან!**

5. **წა!**

პირველი და მეორე განკარგულებით ზარბაზანი და ყუთი გადაინაცვლებენ ისე, რომ გაჩერების წინ ყუთი იყოს ზარბაზანზე მარჯვნივ.

მესამე განკარგულებით ორივე შემბულობა ჩერდება.

მეოთხე განკარგულებით:

ა) ზარბაზნის ნაცვალი ხტება ცხენიდან, აძლევს მას შუა საყევარის ზარბაზნის მეცხენოსნეს და მოირბენს ზარბაზანთან;

ბ) ნომრები ხტებიან წინალებიდან და ყუთიდან და მიირბენენ: №№ 1, 2, 3 და 4,—ხორთუმთან, №№ 3, 6, 7 და 8—ისართან; №№ 3 და 7 იღებენ ტაბიკის ჭინჭილაკს; №№ 1 და 2 ჰკიდებენ ხელებს ხორთუმს ქვეიდან, №№ 3 და 4 - ზორთუმის ხრიკებს, №№ 5 და 6 ქვეიდან ისარის იმ ნაწილს, რომელიც უფრო ახლოა წინალთან, №№ 7 და 8 - ქვეიდან ისარის იმ ნაწილს, რომელიც უფრო ახლოა ყუთთან; შემდეგ ყველა ნომრები გადმოიღებენ ხორთუმს და ისარს წინალის ტაბიკიდან და, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც კი წინალი გაიწე.ს ერთ ნაბიჯზე წინ, №№ 1, 2, 3 და 4 უშვებენ ხორთუმს მიწაზე, №№ 5, 6, 7 და 8 კი აბრუნებენ ყუთს მარცხნითა ზურგისაკენ, ისრით ზარბაზნისკენ, და მიაგორებენ მას ზარბაზანთან საბრძოლ მდებარეობაში, ამავე დროს №№ 7 და 8 მოქმედობენ თვლებზე სოლებში ხელის ჩაჭიდებით. თუ არ იქმნა მიცემული ბრძანება პოზიციაზე დარჩენისა, მაშინ №№ 7 და 8, დააყენებენ რა ყუთს, ჯდებიან ყუთის წინალზე; თუ წინალები მოშორდნენ, მაშინ ზარბაზნის ნაცვალი განკარგულებით მიდიან იქ, სადაც წინალები იმყოფებიან;

გ) ორივე შემბულობის მეცხენოსნეები იყურებიან უკან და, ჩამოიღებენ თუ არა ხორთუმს და ისარს, გასწევენ წინალს ერთ ნაბიჯზე წინ, ძირეულ მეცხენოსნეების განკარგულებით:

წინ!

მეხუთე განკარგულებით: წინალები შორდებიან იმ გზით, რომელიც ნაჩვენებია მე-12 ნახატზე, და ჩერდებიან 16 ნაბიჯზე ხორთუმის უკან; ზარბაზნის წინალი იწყებს მოძრაობას ყუთის წინალთან ერთად, მხოლოდ ნაბიჯით, როდესაც განთავისუფლდება ადგილი, მიჰყვება მას 3 ნაბიჯის მოშორებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

81. თუ მოთხოვნილებაა დააყენონ წინალები რომელიმე სხვა მდებარეობაში, ვიდრე ნაჩვენებია მე-12 ნახატზე (საფარის უკან, მხრის უკან ან საზოგადოთ ზარბაზნის მოშორებით), მაშინ ყუთის გამძღოლს მოჰყავს და აყენებს წინალებს იმ ჩვენების თანახმად, რომელიც მიიღო ზარბაზნის ნაცვალისგან, და ადგილისა და საფარის მიხედვით.

82. მარცხნივ ან მარჯვნივ წაყენებისთვის—უგანკარგულოს:

1. **ზარბაზანო მარჯვნივ (მარცხნივ)!**

ან: ყუთო მარცხნივ (მარჯვნივ)!

2. **წა!**

3. **შესდექ!**

4. **წინალებიდან მარცხნივ (მარჯვნივ)!**

5. **წა!**

პირველი და მეორე განკარგულებით ზარბაზანი ან ყუთი ისე გადაინაცვლებენ, რომ გაჩერების წინ ზარბაზანი იმყოფებოდეს მტრის მხრიდან.

წაყენება სრულდება მე-80 მუხლში მოხსენებულის თანახმად, შემდეგი ცვლილებებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე განკარგულებით: როგორც კი წინალები გაიწევენ ერთ ნაბიჯზე წინ, №№ 1, 2, 3 და 4 აბრუნებენ ხორთუმს იმ მხრისაკენ, რომელიც ნაჩვენებია განკარგულებაში, და უშვებენ მას მიწაზე, №№ 5, 6, 7 და 8 კი მიაგორებენ ყუთს ზარბაზანთან საბრძოლ. მდებარეობაში.

მეხუთე განკარგულებით: წინალები შორდებიან იმ გზით, რომელიც ნაჩვენებია მე-13 ნახატზე.

83. ახლა წაყენებისთვის — უგანკარგულოს:

1. **ყუთო წინ!**
2. **წა!**
3. **შესდექ!**
4. **წინალებიდან!**
5. **წა!**

პირველსა და მეორე განკარგულებას აძლევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყუთი იმყოფებოდა ზარბაზნის უკან ან გვერდზე.

წაყენება სრულდება მე-80 მუხლში მოხსენებულის თანახმად, შემდეგი ცვლილებებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე განკარგულებით:

№№ 1, 2, 3 და 4 ხტებიან წინალებიდან მიირბენენ ზარბაზანთან; ხსნიან მას ტაბიკიდან და უშვებენ ხორთუმს მიწაზე; № 3 დგება $^1/_2$ ნაბიჯზე № 1-ის უკან, სახით მინდვრისაკენ;

მეხუთე განკარგულებით:

ყუთის და ზარბაზნის შემბულობას გასწევენ წინ 8 ნაბიჯზე; გაჩერების შემდეგ ყუთის გამძღოლი მობრუნდება ზარბაზნისაკენ, სახით მინდვრისაკენ; №№ 5, 6, 7 და 8 ჩამოხტებიან და დგებიან სახით მინდვრისკენ, მე-3 ნახატის თანახმად.

მიყენებანი:

84. წინ მოძრაობისთვის—უგანკარგულოს:

1. **წინალებში!**

2. **წა!**

პირველი განკარგულებით:

ა) ზარბაზნის ნაცვალი გარბის თავის ცხენთან და ჯდება ზედ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) №№ 7 და 8 მირბიან წინალებიდან ყუთთან, თუ წინალები იმყოფებოდენ ზარბაზანთან.

მეორე განკარგულებით:

ა) №№ 1 და 2 ჰკიდებენ ხელს ხორთუმს ქვეიდან, №№ 3 და 4—ხორთუმის ხრიკებს, №№ 5 და 6—ისარს ქვეიდან და ბოლოსთან ახლო, №№ 7 და 8—ისარს ქვეიდან და ყუთთან ახლო; შემდეგ ნომრები სწევენ ხორთუმს და ისარს, ზარბაზანს გამოაგორებენ 2 ნაბიჯზე უკან; რა წამს წინალები მიახლოვებით გასცდებიან ზარბაზანსა და ყუთს, ნომრები ხორთუმის და ისარის შებრუნებით წინალის ტაბიკებისკენ მიაგორებენ ზარბაზანსა და ყუთს წინალებთან და აცვამენ მათ ტაბიკებზე; №№ 3 და 7 უყრიან ჭინჭილაკებს და ყველანი დგებიან თავის ადგილებზე (ნახ. 5). ლაფეტისა და ყუთის შებრუნების და მიგორების დროს №№ 1 და 2 ზარბაზანთან და №№ 7 და 8 ყუთთან მოქმედებენ თვლებზე.

თუ ზარბაზნის და ყუთის მიგორება წინალებთან საძნელოა, მაშინ №№ 1 და 2 იმაგრებენ ხორთუმს №№ 7 და 8—ისარს, №№ 3, 4, 5 და 6 კი მიირბენენ შესაფერ წინალების თვალებთან და შველიან მიწევაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ზარბაზნის ნაცვალს და ყუთის გამძღოლს მიჰყავთ თავისი წინალები იმ გზით, რომელიც ნაჩვენებია მე-14 ნახატზე; გაივლიან თუ არა 24 ნაბიჯს ყუთის ღერძიდან, ისინი ჩერდებიან და ყუთის გამძღოლი სწორდება ზარბაზნის ნაცვალზე; წინალები, გაივლიან თუ არა, 20 ნაბიჯს ყუთის ღერძიდან, ჩერდებიან; საძირე მეცხენოსნები იყურებიან უკან და უსწორებენ წინალის ტაბიკის ქვეიდან ხორთუმს და ისარს; როცა უკანასკნელები ჩამოცმული იქნება ტაბიკებზე, საძირე მეცხენოსნები უგანკარგულებენ:

წინ!

ამ განკარგულებით შებმულობანი წაიწევენ ზარბაზნის ნაცვლამდის და ყუთის გამძღოლამდის.

შენიშვნა: მეცხენოსნები წინა და შუა საყვარისა, წინალების გაჩერების შემდეგ, იყურებიან აგრეთვე უკან და, აქვთ რა სამბურები მოშვებული, ხელს უწყობენ საძირე მეცხენოსნებს წინალის მიწევაში.

85. თუ წინალები იმყოფებოდნენ საფარს უკან, მხრის უკან ან საზოგადოთ ზარბაზანთან მოშორებით, მაშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყენების შესასრულებლად ისინი იყენენ წინასწარ უნდა გამოძახებული ზარბაზანთან.

86. წინალები მოჰყავს ყუთის გამძღოლს და ჩერდება 16. ნაბიჯზე ხორთუმის უკან.

თუ პირველი და მეორე განკარგულება 84-ე მუხლისა მიცემულია მათ გაჩერებამდის, მაშინ წინალები გაუჩერებლივ ასრულებენ მიყენებას; №№ 7 და 8 ხტებიან და მირბიან თვლებთან, როცა წინალი მივა ყუთთან.

87. უკან მოძრაობისთვის—უგანკარგულოს:

უკანალებზე!

წა!

სრულდება წინ მოძრაობისთვის მიყენებაზე მოხსენებულის თანახმად, შემდეგი ცვლილებებით:

მეორე განკარგულებით:

ა) ნომრები ასწევენ რა ხორთუმს—გააგორებენ ზარბაზანს 2 ნაბიჯზე უკან, შემდეგ კი შეაბრუნებენ $^1/_8$-ზე წრისა ყუთის მხარისაკენ;

ბ) ზარბაზნის ნაცვალს და ყუთის გამძღოლს მოჰყავთ თავისი წინალები იმ გზით, რომელიც ნაჩვენებია მე-15 ნახატზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

88. მარჯვნივ ან მარცხნივ მოძრაობისთვის — უგანკარგულოს:

1. **წინალებზე მარჯვნით (მარცხნით)!**

2. **წა!**

სრულდება წინ მოძრაობისთვის მიყენებაზე მოხსენებულის თანახმად, შემდეგი ცვლილებებით:

მეორე განკარგულებით:

ა) ნომრები, სწევენ რა ხორთუმს, გააგორებენ ზარბაზანს 2 ნაბიჯზე უკან, შემდეგ კი შეაბრუნებენ $^1/_8$-ზე წრისა ყუთის მხარისაკენ;

ბ) ზარბაზნის ბაცვალს და ყუთის გამძღოლს მოჰყავთ თავის წინალები იმ გზით, რომელიც ნაჩვენებია მე-16 და მე-17 ნახატებზე.

89. მახლობელი დახევიდან უკან მოძრაობისთვის — უგანკარგულოს.

1. **უკანალზე!**

2. **წა!**

სრულდება წინ მოძრაობისთვის მიყენებაზე მოხსენებულის თანახმად, შემდეგი ცვლილებით:

პირველი განკარგულებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ 7 და 8 რჩებიან ადგილებზე.

მეორე განკარგულებით:

ა) №№ 1, 2, 3 და 4 სწევენ ხართუმს, მიაგორებენ ზარბაზანს წინალთან და ჩამოაცვამენ მას ტაბიკზე, № 3 უყრის ჭინჭილაკს, რის შემდეგ № 4 მირბის ყუთთან, და, თუ ყუთი არ არის, მაშინ ჯდება ხორთუმზე;

ბ) ზარბაზნის მეცხენოსნეები იყურებიან უკან და მისწევენ ზარბაზანთან წინალს; როცა ზარბაზანი ჩამოცმული იქნება, ზარბაზნის შემბულობა მისწევს ყუთის შემბულობამდის 3 ნაბიჯზე.

თ ა ვ ი VI.

დაკლებულ ცხენების და ცხენოსან ჯარისკაცების მოადგილეების დანიშვნა.

90. დაკლებულის ზარბაზნის ნაცვალის მაგიერობას ეწევა ყუთის გამძღოლი, რომელიც დგება მეთაურ შემბულობაში.

91. მეცხენოსნეების და ცხენების მოადგილეების დანიშვნა ზარბაზნის ნაცვალის განკარგულებაშია; თუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინალები ზარბაზნისაგან განცალკევებულათ იდგნენ, მაშინ მოადგილეების დანიშვნა სწარმოებს ყუთის გამძლოლის განკარგულებით.

92. თუ საჭიროება მოითხოვს წყობილების ცხენებსაც ხმარობენ შესამბელად.

93. წყობილებიდან გამოყვანილ ცხენების მოკაზმულობას ალაგებენ ყუთზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამატება I.

ზარბაზანთან მოქმედების შესრულება.

სამიზნო კუთვნილების ნაწილების დაყენება.

პანორამის კუთხისაზომი.

ა) მარცხენა ხელით მაღლა აიწიოს გადასაყვანი (აზარმაცი) უარამდინ და ამ მდგომარეობაში დაიკავონ.

ბ) მარჯვენა ხელით ატრიალონ ამრეკველი (პანორამის თავი) და ტლანქად დააყენონ კუთხისაზომის რგოლის განკარგულებით აღნიშნული დანაყოფი მაჩვენებლის პირდაპირ.

გ) გადასაყვანი მოეშვას.

შენიშვნა: თუ გადასაყვანი არ დადგეს თავის ადგილზე, ჰორიზონტალურ მდებარეობაში, არამც და არამც არ ეცადონ მის ჩამოშვებას ხელის დაჭე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით, არამედ საკმარისია ოდნავ მოატრიალონ დალაბანდი ან ამრეკველი (პანორამის თავი), რის შემდეგ გადასაყვანი ჩამოეშვება.

დ) კუთხისაზომის დალაბანდი უნდა ატრიალონ მარჯვენა ხელით სანამ სისწორით დაყენდებოდეს განკარგულებულ დანაყოფი რგოლისა და დალაბანდისა.

პანორამის ამრეკველი.

მარჯვენა ხელით ატრიალონ ამრეკველის დალაბანდი, სანამ ნაგანკარგულები დანაყოფი არ დადგეს მაჩვენებლების პირდაპირ.

თარაჯო.

მარჯვენა ხელით ატრიალებენ თარაზოს დალაბანდს და აყენებენ ჯერ მაჩვენებელს თარაზოს რკალის განკარგულებაში ნაჩვენებ დანაყოფთა პირდაპირ, შემდეგ — დალაბანდის განკარგულებით დანაყოფის შესაფერ მაჩვენებლის პირდაპირ.

სამიზნო.

ა) მარჯვენა ხელით მოატრიალონ თავისკენ (ლაფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის ხორთუმისკენ) ექსცენტრიული სოლინარი უარამდინ და დაიკავონ ამ მდგომარეობაში.

ბ) მარცხენა ხელი მოავლონ პანორამის ბუდეს ან სამიზნოს ღერძს კრონშტეინის კოლოფის ქვეით, გამოსწიონ სამიზნო კოლოფიდან მაღლა და დააყენონ ტლანქად განკარგულებულ დანაყოფზე.

გ) მოუშვან ექსცენტრიული სოლინარი.

დ) ატრიალონ მარჯვენა ხელით ჭიის თავი და დააყენონ სამიზნო სისწორით გარკანგულებულ დანაყოფზე.

განცალკევებული დამიზნება.

ა) დაყენდეს თანახმად განკარგულებისა კუთხისაზომი, თარაზო და სამიზნო.

ბ) მარჯვენა ხელით ატრიალონ ასაწევ—დასაწევი მექანიზმის ტარი, ტლანქად მოიყვანონ თარაზოს ბურცი შუაგულ მდებარეობაში.

გ) პანორამის თავზე ტლანქად მიუშვირონ ამრეკველი მომართვის წერტილს და თან აძლიონ სათანადო დარიგება სამართით მოქმედებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) პანორამის ოკულარში გახედვით სისწორით მიაყენონ ამრეკველის ვერტიკალური ხაზი მომართვის წერტილს, მარცხენა ხელის მოქმედებით მოსატრიალებელ მექანიზმზე.

შენიშვნა. თუ მომართვის წერტილი დაშორებულია ზარბაზანზე დაახლოებით 100°-ის მანძილზე და ნაკლებ, მაშინ მოსატრიალებელი მექანიზმის ხმარება არ შეიძლება.

ე) სისწორით მოიყვანონ თარაზოს ბურცი საშუალო მდგომარეობაში ასაწევ-დასაწევ მექანიზმზე მარჯვენა ხელის მოქმედებით.

ამრეკველი შეიძლება იდგეს ყოველნაირ დანაყოფზედ, ოლონდ მომართვის წერტილი იმყოფებოდეს ამრეკველის თვალთახედვის არეში, ამიტომ მომართვის წინ შეიძლება მისი აწევა ან დაწევა.

შენიშვნა. უკეთუ პანორამის ოპტიკური ნაწილი გაფუჭდეს, მაშინ ჰორიზონტალური დამიზნება აწარმოვონ დამხმარე სამიზნო მოწყობილობით, რომელიც მიმაგრებულია პანორამის თავზე მარჯვენა მხრიდან; ამ დროს თვალი უნდა იყოს რაც შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლება ახლო (თითქმის მიდებული) სათვალე ფირ-ფიტის ჭუჭრუტანასთან. დამიზნება ის არის, რომ მოათავსონ მომართვის წერტილი შუაგულში სასა-გნო ვიზირის ორ მავთულს შორის.

პირდაპირი (განუცალკევებელი)

1. სამიზნო მილით.

ა) დააყენონ სამიზნო განკარგულების თანახმად.

ბ) გადასწიონ პატარა ფარი (დიაფრაგმა) სამიზნო მილისა და მიაყენონ ზარბაზანი ისე, რომ მიზანი მოხვდეს სამიზნო მილის თვალთახედვის არეში და თან აძლიონ სათანადო დარიგება სამართით მოქმედებ-სთვის.

შენიშვნა. თავდაპირველი მიმართულება მი-ზანში სამართის ნომერმა უნდა მისცეს ზარბაზნის ტანზე, დამმიზნებელის ბრძანების ცდა საჭირო არ არის.

გ) გადმოსწიოს პატარა ფარი (დიაფრაგმა) სამი-ზნო მილისა და მიიყვანოს სამიზნო მილის თმების ჯვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედინი მიზანზე, მარჯვენა ხელის მოქმედებით ასაწევ-დასაწევ მექანიზმზე, მარჯვენა ხელის კი—მოსატრიალებელ მექანიზმზე.

2. ამრეკველით:

ა) დააყენონ ამრეკველი 0-ზე და კუთხისაზომი 30—00-ზე ან განკარგულებულ რიცხვზე.

ბ) ჩამოუშვან ფარის ზევითა ნაწილი.

გ) შემდეგში უნდა იმოქმედონ ისე, როგორც ნაჩვენებია სამიზნო მილით დამიზნებაში, ამრეკველის ჯვარედინის მიყენებით მომართვის წერტილზე.

დამიზნებულ ზარბაზნის ალნიშვნა.

ალნიშვნის წერტილი გვაქვს

ა) პანორამის ოკულარში გახედვით ერთად მოათავსონ ამრეკველის ვერტიკალური ხაზი და ალნიშვნის წერტილი იმ გვარივე მოქმედებით, როგორც კუთხისაზომის დაყენების დროს: ჯერ ამრეკველის მოტრიალებით, შემდეგ კი დაფის ტრიალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოიყვანონ თარაზოს ბურცი შუაგულ მდებარეობაში თარაზოს დაფის ტრიალით.

გ) ხმამაღლა წაიკითხონ კუთხისაზომის და თარაზოს მიღებული დაყენებანი.

ალნიშვნის წერტილი არა გვაქვს.

ზარბაზნის დამიზნების შეუშლელად:

ა) დააყენონ ზარბაზნის უკან სარი, რაც შეიძლება მოშორებით ზარბაზნისაგან.

ბ) ალინიშნონ სარზე.

გ) ალნიშნონ ადგილი საომარ თვლების მდებარეობისა.

პანორამის შედება სამიზნოს საპანორამო ბუდეში და ამოღება.

შ ე დ ე ბ ა.

ა) მოუშვან ბულლს ჭახრაკი საპანორამო ბუდის მოსქელებულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მარჯვენა ხელი მოჰკიდონ პანორამის ზევითა ნაწილს.

გ) მარცხენა ხელით მოატრიალონ უარამდინ ბუდის საკეტი საათის ისრის მოძრაობის წინააღმდეგ.

დ) შესდონ პანორამა სამიზნოს საპანორამო ბუდეში ბაქანით მოსაქცევის ბუდეში.

ე) მოუშვან საკეტი.

ვ) მოუჭირონ უარამდის ბულლის ჭახრაკს საპანორამო ბუდის მოსქელებულში; ძალზე მოჭერა არ უნდა.

პანორამის ჩადების დროს კარგია იგი სუბუქად მოტრიალდეს ხელით ისე, რომ იმისი ბაქანი მოსქელებულის ბუდეში შესვლისას მიეკრას მის მარცხენა მხარეს ვიდრე ჭახრაკი მოეჭირებოდეს.

ამოღება.

ა) მოუშვან ბულლის ჭახრაკი საპანორამო ბუდის მისქელებულში.

ბ) მარჯვენა ხელი მოჰკიდონ პანორამის ზევითა ნაწილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მარცხენა ხელით მოატრიალონ უარამდის ბუდის საკეტი საათის ისრის მოძრაობის წინააღმდეგ.

დ) როცა საკეტის მოტრიალებით პანორამა ამოიწევა, შემდეგ მარჯვენა ხელით ფრთხილად ამოიღონ იგი ბუდიდან ისე, რომ იმის ოკულარის მილი არ მოხვდეს ბუდის საგუბარს; ამოღების დროს მარცხენა ხელის თითებით დაიმაგრონ ბუდის საკეტი გაწეულ მდგომარეობაში.

შენიშვნა. თუ მოსქელებულში ჭახრაკი პრუჟინისაა, მაშინ საშვალება ა-ნი საჭირო არ არის.

პანორამის ჩალაგება ლაფეტთან მყოფ ყუთში.

ა) დააყენონ კუთხისაზომი 00—00—ზე და ამრეკველი 0 ზე.

შენიშვნა. დაყენება უნდა შესრულებულ იყოს პანორამის ბუდიდან ამოღებამდის.

ბ) აიღონ პანორამა მარჯვენა ხელის მოკიდებით შუაგულში და ფრთხილად შესდონ ყუთში კუთხისაზომით წინ ისე, რომ კუთხისაზომის დალაბანდი მოუვიდეს ქვეით, ბუდის თავზე კალაპოტის წიბოებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) პანორამის გადაწევით კალაპოტზე და თვით კალაპოტის მიწევით ყუთში, მიიყვანონ მთლად ჩანაწყობი ისე, რომ სახურავი დაიხუროს სულ ცოტა ძალის ხმარებით.

დ) დახურონ ყუთის სახურავი, ჩამოაცვან არყუში სარაზის და მიატრიალონ სარაზი.

გალება და დახურვა ყუთის და წინალის კოლოფისა.

გ ა ლ ე ბ ა.

ა) მიატრიალონ სარაზი საკეტისა მაღლა, არყუშის ამოჭრილ ადგილის პირდაპირ.

ბ) მოაცალონ სარაზის არყუში.

გ) გადააგდონ კარი უკან თასმის მარყუშით.

დ ა ხ უ რ ვ ა:

სრულდება უკან დაბრუნებითი წესით.

ამოღება და შედება ლანკანისა.

ა მ ო ღ ე ბ ა.

ა) მარჯვენა ხელის თითით დააწვნენ ლანკანის ენის სადგნობს; გამოიყვანონ ენა ბუდის კედელში ამოჭრილ ადგილიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) როგორც კი ლანკანი დაძრული იქნება ადგილიდან, ჩამოუშვან ენა.

შ ე დ ე ბ ა.

ა) შესდონ ლანკანი ბუდეში იმ მხარით, საიდანაც არა აქვს ენა.

ბ) დინჯად შესწიონ ლანკანი ბუდეში, სანამ ენა არ შევარდება ბუდის კედელზე ამოჭრილ ადგილში, რისთვისაც შეწევის ბოლოში რამდენადმე მოუმატონ ლანკანზე დაწოლას.

ლანკანის გაღება და დახურვა.

გ ა ღ ე ბ ა.

ა) დააჭირონ კაუჭის თავს და გაანთავისუფლონ აზარმაცი.

ბ) გადაკეცონ აზარმაცი.

გ) გადაჰკეცონ სახურავები აქეთ იქით.

დ ა ხ უ რ ვ ა.

ა) გადმოკეცონ სახურავები ჯერ ციფრი 1 რო უზის, მერე ციფრი 2 რო უზის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოუჭირონ აზარმაცი სახურავებს და თან თვალი ადევნონ, რომ აზარმაცი მოუვიდეს სახურავების ბაქნების შუა.

გ) ხელის დაწოლით სადგნობ-რკალი, მიიყვანონ აზარმაცის ბოლო კილოს ქვეშ.

ამოღება ვაზნისა ლანკანიდან, ვაზნას დაჭერა და შედება ლანკანში.

ა მ ო ღ ე ბ ა.

მარცხენა ხელი მოჰკიდონ ვაზნას შუაგულში, მარჯვენა კი მასრის ძირის ქვეშ.

დ ა ჭ ე რ ა.

მიაბჯინონ ვაზნა მასრის ძირით მუხლში, გაითავისუფლონ მარჯვენა ხელი, მარცხენათი კი დაიმაგრონ ყუმბარის შუაგულში ხელის მოვლებით.

შ ე დ ე ბ ა.

შედების წინ დააყენონ მილი „კარტეჩ"-ზე. მარჯვენა ხელის მასრის ძირში მოვლებით დინჯათ შესდონ ვაზნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანკანში შესაფერის ბუდეში; ლანკანში ვაზნები მილებით მორიგეობით მიშვერილები იყოს ერთი მეორის წინაალმდეგ.

შრაპნელის მილის მომზადება.

ხუფის მოხსნა.

ა) გაანთავისუფლონ მილი ანჯამისაგან.

ბ) ხელის ტრიალით მარჯვენისაკენ მოაცალონ მავთული და ხუფის მოჭერილი მხარე; ამასთანავე ხუფი მილს უნდა მოაგდებინონ.

მილის დაყენება.

ხელით კეთდება, მაგრამ ყოველ შემთხვევისთვის უნდა იქონიონ სამანხიჯო გასალები.

ხელით დასაყენებლად:

ა) უჭირავთ რა ვაზნა თეფშის მაჩვენებლით თავისკენ, მოსჭირონ ორი თითი მარჯვენა ხელისა მოძრავ სამანძილო რგოლის ქიმებში.

ბ) ატრიალონ სამანძილო რგოლი, სანამ განკარგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით ნაჩვენები დანაყოფი არ გაჩერდება თეფშის მაჩვენებლის პირდაპირ.

გასაღებით დასაყენებლად:

ჩაუგდონ გასაღების ენები მოძრავ სამანძილო რგოლის ამოღრმავებულებში და მოიქცენ ისე, როგორც ხელით დაყენების დროს.

შედება ვაზნისა ზარბაზნის ლრუში და გამოღება.

შედება.

ა) მარცხენა ხელით აიღონ ვაზნა ყუმბარის შუაგულიდან, მარჯვენათი მასრის ძირიდან.

ბ) ყუმბარის შუაგულით დააყრდნონ ჩახურის ბუდის ქვეითა წიბოზე.

გ) მიიყვანონ ვაზნა სავაზნეში მარჯვენა ხელით იმდენად, რომ მასრის ძირი არ გამოდიოდეს სახაზინო ჩამონაკვეთის აქეთ.

ამოღება.

ა) გაიღონ საკეტი, მოსჭიდონ მარცხენა ხელი ამოსაღებ ვაზნის მასრით ძირს და თანასწორად გამოწევით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარბაზნის ღრუდან მარჯვენა ხელი მოჰკიდონ ყუმბარის ქვეიდან.

ბ) დააყენონ ვაზნა მუხლზე და დაიმაგრონ ვაზნა ხელის ყუმბარაში მოვლებით.

საკეტის გაღება და დახურვა.

გ ა ღ ე ბ ა.

ტარის სახელურში ხელის მოკიდებით და მასზე დაწოლით, ხელის ერთი მოძრაობით მოატრიალონ ტარი უკანა და მარჯვენა მიმართულებით, ჩარჩოს დაყრდნობამდის ამომგდებელის კალაპოტში.

ჩარჩო არ უნდა ხვდებოდეს ღონივრად ამომგდებელს.

იმ შემთხვევებში, როცა საფრთხილო ჩაძირულია, საჭიროა მისი წინასწარ გამოწევა.

შენიშვნა. სამოსწავლო-მაცადინობის დროს და უტყვიო ვაზნით სროლის დროს უნდა საფრთხილო საკეტიდან ამოიღონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ა ხ უ რ ვ ა.

შეასრულონ ტაროს პირაქეთ მოძრაობით, რომელიც უნდა მოიყვანონ სახელურის კბილის სრულ შევარდნამდის საკეტის ჩარჩოს ბაქანს იქით.

საკეტის მოძრაობა უნდა იყოს თანასწორი და აუჩქარებელი; საკეტის რტყმევა ჭედვით შემავალ მასრაზე დასაშვები არ არის.

სროლის წარმოება.

ა) ჩამოჰკრან ზონარს შეძლებისამებრ ზარბაზნის ლრეს მიმართულებით.

ბ) რა წამს გავარდება—გაუშვან ზონარს ხელი.

სამართის და საჯდომის გადადება და გადმოკეცვა.

გ ა დ ა დ ე ბ ა.

ა) გადადონ სამართი უკან.

ბ) მოატრიალონ სარაზს ისე, რომ იგი შევიდეს კრონშტეინის ამოჭრილ ადგილებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა დ მ ო კ ე ც ვ ა.

ა) მოატრიალონ სარაზს ისე, რომ იგი გამოვიდეს კრონშტეინის ამოჭრილ ადგილებიდან.

ბ) გადმოკეცონ სამართი წინ.

საჯდომის გადაკეცვა და გადმოკეცვა.

ა) მოჰკიდონ ორივე ხელი საჯდომის ზევითა ზოლს, ახლოს ღერძთან.

ბ) ასწიონ იგი მაღლა წვეტანების ბუდიდან გამოსვლამდის.

გ) მოატრიალონ საჯდომი წვეტანების მეორე ბუდეებში შევარდნამდის. **ფარის ზევითა და ქვეითა ნაწილების აწევა და ჩამოშვება.**

ზევითა ნაწილის აწევა.

ა) მოატრიალონ ფარის წინა სარაზი.

ბ) ასწიონ ფარი სანამ ურდულები არ ჩამოეშვებიან ძირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეითა ნაწილის ჩამოშვება.

ა) მოატრიალონ ფარის ქვეითა სარაზო (ამ დროს ზარბაზნის ტუჩს წინ არ გაუარონ).

ბ) ჩამოუშვან ფარი ძირს.

ჩამოშვება ზევითა ნაწილისა.

ა) დააჭირონ ფარს ხაზინის მხარეზე და ამავე დროს ასწიონ მარჯვენა და მარცხენა ურდულები.

ბ) თანასწორად ჩამოუშვან ფარი.

გ) დაჰკეტონ სარაზო.

ქვეითა ნაწილის აწევა.

ა) ასწიონ ფარი.

ბ) მოატრიალონ სარაზო (ამ დროს ზარბაზნის ტუჩს წინ არ გაუარონ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამატება II.

ზარბაზნიდან ჩარჩენილ შრაპნელის [1]) გამოღების წესი

გამოიღონ ზარბაზნიდან მასრა და გამოაძრონ შრაპ-ნელი შემდეგის საშუალებით:

ძველმანს ზარბაზნის სავაზნეში სდებენ საკმაოდ მოზრდილ დაკუმშულ და შემდეგ ხურავენ საკეტს.

ზარბაზნის ღრუში ტუჩიდან ფრთხილად შეჰყავთ ზუმბა, რომლის თავსაც აქვს ამოჭრილობა ყუმბარის ისრულ ნაწილის ფორმისამებრ და ტუჩიდან გამოჩრილ ბოლოს ზუმბისას აბამენ თოკის შუა ნაწილს თვლების სოლებზე. ზარბაზნის თანასწორ წაგორებით წინ, სჭიმავენ ამ თოკს და ამ გზით დააჭერენ ზუმბას ყუმბარის თავზე. გამოგდებული ყუმბარა ეყრდნობა ძირით ქვეშ ამოდებულ

---

1) ჩარჩენილ ტრიტილის გრანატის გამოღებაც ამ წესით სწარმოებს 2) თუ გაუბიცის ღრუში ჩარჩება ბომბი, ამფეთქებელი ნიშნით არა „Ч. Г. Т.„ უნდა დაიცალოს სროლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძონძს და ამნაირად არ ერტყმება მძაფრად. ამის შემდეგ უნდა ამოიღონ ზარბაზნიდან ზუმბა, გააღონ საკეტი და ზარბაზნიდან ყუმბარის ფრთხილად გამოღებით ჩადონ იგი ერთ-ერთ ცარიელ ლანკანში გატენილ მასრის ცალკე. მასრის ტუჩი უნდა მჭიდროდ დაიცოს ძონძის ნახევით, რათა ზიდვის დროს წამალი არ გამოცვივდეს.

განკარგულების მაგალითები.

1. კუთხისაზომის და თარაზოს დაყენების განკარგულებანი **ყოველთვის იძლევა ორის რიცხვით:** პირველი ეკუთვნის პანორამის რგოლის ან თარაზოს რკალს, მეორე კი პანორამის ან თარაზოს დალაბანდს.

2. რიცხვი, რომელიც ეკუთვნის პანორამის ან თარაზოს დალაბანდებს იძლევა ყოველთვის ორის ციფრით (გარდა 0-ზე დაყენებისა).

მაგალითად:

კუთხის საზომი:

35 — 60 ოცდა თხუთმეტი — სამოცი.

40 — 05 ორმოცი — ნოლი ხუთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 — 25 რვა — ოცდახუთი:
0 — 90 ნოლი — ოთხმოცდა ათი.
19 — 0 ცხრამეტი ნოლი.

მარჯვნივ:

6 — 0 ექვსი — ნოლი.
0 — 75 ნოლი — სამოცდა თხუთმეტი.

მარცხნივ:

2 — 30 ორი — ოცდაათი.

გაიყოს ცეცხლი მარჯვენისაგან:

0 — 05 ნოლი — ნოლი ხუთი.

შეერთდეს ცეცხლი მარცხენასკენ:

0 — 25 ნოლი — ოცდა ხუთი.

თარაზო:

28 — 70 ოცდა რვა — სამოცდა ათი.
30 — 05 ოცდა ათი — ნოლი ხუთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარაზო მეტი:

0 — 30 ნოლი — ოცდაათი.

თარაზო ნაკლები:

0 — 08 ნოლი — ნოლი რვა:
1 — 10 ერთი — ათი.
1 — 0 ერთი — ნოლი.

3. სამიზნოსა და მილის დაყენებას უგანკარგულებენ.

ა) 0-დან 50-ძდე გამორიცხვით, ასიდან და ზევით ერთი რიცხვით, შეერთებით.

მაგალითად: 25 — ოცდა ხუთი.
48 — ორმოცდა რვა.
100 — ასი.

სხვა და სხვა.

ბ) 50-დან 100-მდის — ციფრებით, გაყოფით.

მაგალითად:

55 — ხუთი — ხუთი.
80 — რვა — ნოლი.
98 — ცხრა — რვა.

სხვა და სხვა.

ს ა რ ჩ ე ვ ი.

განყოფილება I

სუბუქ ზარბაზანთან მოქმედება.

თავი I.	პირადი შემადგენლობის დათვლა და გვერდი პიროვნებათა ადგილები, მუხ. 1—5 .	3
II.	ზარბაზნის მომზადება სროლისათვის, მუხ. 6	9
III.	სროლა მუხ. 7—19	"
	ზარბაზნის მდემარეობის აღნიშვნა .	"
	გადასვლა პირდაპირი განცალკევებულზე, მუხ. 20—21 . . .	
	კუთხისაზომის, თარაზოს, სამიზნოს და მილის დაყენების შეცვლა. მიზნის გამოცვლა. ყუმბარის გამოცვლა, მუხ. 22—25	"
	ზარბაზნის გამოცლა. სრული შეწყვეტა და დროებითი გაჩერება ცეცხლისა, მუხ. 26—27	13

IV. პირადი შემადგენლობის საფარი, მუხ. 28—30 27
V. შეცვლა დაკლებულ ნომრებისა (მოადგილეების დანიშვნა) მუხ. 31 . . 29
VI. დასვენება და ნომრების შეგროვება, მუხ. 32—34 29

განყოფილება II.

გაუბისთან მოქმედება.

თავი I. პირადი შემადგენლობის დათვლა და პიროვნებათა ადგილები მუხ. 1—5 . 32
II. ზარბაზნის მომზადება სროლისთვის, მუხ. 6 38
III. სროლა მუხ. 7—12 41

განყოფილება III.

სწავლა შებმულ ზარბაზნით.

თავი I. პირადი და ცხენების შემადგენლობის დათვლა, შებმა, მუხ. 36—40 . . 47
II. ზარბაზნის წესრიგები, მუხ. 41—44 . 49

III. ადგილები ჯარისკაცთა (ადგილზე) დალაგების და მოძრაობის, დროს მუხ. 45—48 50
IV. მოძრაობა შებმულ ზარბაზნისა, მუხ. 49—73 . . . . . „
ალლიურები, მუხ. 49—50 . . . „
განკარგულებანი, მუხ. 51—53 . . „
მოძრაობის დასაწყისი, მუხ. 54—59 . „
ზარბაზნის გაჩერება, მუხ. 60—63 . „
მოძრაობის მიმართულების შეცვლა, მუხ. 64—71 52
V. ზარბაზნის ან ყუთის შებმულობათა გადანაცვლება მოძრაობის წესრიგში, მუხ. 72—73 60
VI. ზარბაზნის გადასვლა მოძრაობის წესრიგიდან საომარ წესრიგზე და პირაქით მუხ. 74—89 . . . . „
საზოგადო წესები, მუხ. 74—79 . . „
დახევა, მუხ. 80—83 . . . „
მიყენებანი, მუხ. 84—89 . . . 62

VII. შეცვლა დაკლებულ ცხენიან ჯარისკაცებისა და ცხენების (მოადგილეების დანიშვნა), მუხ. 90—93 73

დამატებანი:

I. ზარბაზანთან მოქმედების შესრულება „
სამიზნო მოწყობილობის ნაწილების
დაყენება . . . . . „
ზარბაზნის აღნიშვნა . . . „
პანორამის შედება სამიზნოს საპანორამო ბუდეში და გამოღება . . . „
პანორამის ჩალაგება ლაფეტთან მყოფ
ყუთში . . . . . „
გაღება და დახურვა ყუთისა და წინალის კოლოფისა . . . . . „
გამოღება და შედება ლანკანისა . „
გაღება და დახურვა ლანკანისა . . „
გამოღება ვაზნისა ლანკანიდან, დაჭერა ვაზნისა და მისი შედება ლანკანში „
შრაპნელის მილის მომზადება . . „

შედება ვაზნისა ზარბაზნის ლრუში და
გამოლება . . . . . „
გალება და დახურვა საკეტისა . „
გადადება და გადმოკეცვა სამართისა
და საჯდომისა . . . „
აწევა და ჩამოშვება ფარის ზევითა და
ქვეითა ნაწილებისა 75
II. ზარბაზნიდან ჩარჩენილ შრაპნელის
გამოლების წესი 93
III. განკარგულებათა მაგალითები . . 94

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსიკონი.

ამომყრელი	выбрасыватель
ამოჭრილი ადგილი	вырѣзъ
ამრეკველი	отражатель
ამფეთქებელი	взрыватель
ასაწევ დასაწევი მექანიზმი	подъемный механизмъ
ალნიშვნა	отмѣчаніе
ალსანიშნავი წერტილი	точка отмѣтки
ალსასრულებელი განკარგულება	исполнительная команда
აწვა	осѣчка
ბაქანი	выступъ
ბერკეტი	рычагъ
ბურღი	винтъ
ბურცი	пузырекъ
გადასაყვანი	отводка

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათავება	отбой
გამოუშვი	выпрягай
გამტენი	заряжающій
განცალკევებული დამიზნება	раздѣльное прицѣливаніе
გასაღების ენა	бородка ключа
გასროლა	выстрѣлъ
გაჯრა	размыканіе
დაბრკოლება	препятствіе
დაკუნწული	свернутый въ комокъ
დამიზნება	прицѣливаніе
დალაბანდი	барабанъ
დამმიზნებელი	наводчикъ
დამყენებელი	установщикъ
დანაყოფი	дѣленіе
დახევა	отъѣздъ
დაფარული პოზიცია	закрытая позиція
დაცემაზე	на ударъ
დაცურების შეწყვეტა	прекращеніе отката
დაყრდნობა	опираніе
ეკვ	защелка

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზნა	патронъ
ზარბაზნის დაცლა	разряжаніе орудіе
ზარბაზნის ნაცვალი	орудійный фейерверкеръ
ზოლი	полоса
ზონარი	шнуръ
ზუმბა	протиральникъ
ზურგი	тылъ
თანასწორად	плавно
თარაზო	уровень
თასმის მარყუში	ременная петля
თვალთახედვის არე	поле зрѣнія
თეფში	тарель
ირგვლივ მობრუნება	круговой поворотъ
ისარი	стрѣла
ისრული	оживальный
კალაპოტი	колодка
კანკილი	подстановка
კაუჭა	крючокъ
კვალი	борозда, канавка
კედარო	фронтъ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეფაში	въ затылокъ
კოლოფი	коробъ
კუთვნილება	принадлежность
კუთხისაზომი	угломѣръ
ლატანი	дышло
ლანკანი	лотокъ
მაზარა	шишель
მარყუში	петля
მახლობელი დახევა	ближній отъѣздъ
მაჩვენებელი	указатель
მეთაური შემბულობა	головная запряжка
მემასრე	гильзовый
მესაკეტი	замковый
მესამართე	правильный
მეცხენოსნე	ѣздовой
მილი	трубка
მიზნის არე	участокъ цѣли
მისქელებული	приливъ
მიყენება	подъѣздъ
მიწვდა	питаніе (подача снарядовъ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჯრა	смыканіе
მოადგილე	замѣститель
მოისაქმე	оправиться
მომართვა	наводка
მომართულ ზარბაზნის მდგომარეობის აღნიშვნა	отмѣчаніе положенія наведеннаго оружія
მოსატრიალებელი მექანიზმი	поворотный механизмъ
მოძრაობა	движеніе
მოძრავი მიზანი	подвижная цѣль
მხრით შემოსვლა	заѣздъ плечомъ
მძაფრი მობრუნება	крутой поворотъ
მწკრივი	шеренга
ნაადრევად გასკდომა	преждевременный разрывъ
ნიბიჯი	шагъ
ნახევრად მობრუნება	полуоборотъ
ნიადაგი	грунтъ, почва
პარკი	паркъ
პირდაპირი მომართვა	прямая наводка
პლაკა	планка
რგოლი	кольцо

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგრიგად	по очередно
რკალი	дуга
საბრძოლო წესრიგი	боевой порядокъ
სადგნობი რკალი	канавка для упора
სადგნობისთვის	для упора
საკაზნე	патроникъ
საველე ზარბაზანი	полевое орудіе
საკეტი	замокъ
საკმაოდ მოზრდილი	довольно большой
სამანძილო მილი	дистанціонная трубка
სამართი	правило
სამართის გადადება	закидываніе правила
სამატი	нашильникъ
სამბური	постромка
სამიზნო	прицѣлъ
სამიზნო მოწყობილება	прицѣльное приспособленіе
სამუხლე	подколѣнникъ
სანგარი	окопъ
სარაზო	завертка
სარი	вѣха

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასროლად	къ бою
საფარებელი ფარის ფანჯრისა	заслонка окна щиа
საფარის თხემი	гребень закрытія
საფრთხილო	предохранитель
სახნისი	сошникъ
საძირე	коренной
საშუალო მდგომარეობა	серединное положеніе
საყევარი	уносъ
საჭვრეტი მილი	визирная трубка
საჭერი	поручень
სწორედ	точно
სოლი	спица
სოლინარი	втулка
სუბუქი ზარბაზანი	легкое орудіе
ტაბიკი	шворень
ტაბიკის ჭინჭილაკი	шворневой ключъ
ტლანქი მიმართულება	грубое направленіе
ტუჩი	дуло
უარამდე	до отказа
უკან დაცურება	откатъ
უნაგრიანი	подсѣдельный

379

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურდული	засовъ
უსწორ-მასწორი ადგილობა	пересѣченная мѣстность
უტყვიო ვაზნა	холостой патронъ
ფარაჯა	шинель
ფარგლებში	въ предѣлахъ
ფარი	щитъ
ფარლიათი	щель
ფრთა	флангъ большой части
ღერძი	стержень, ось
ღრუ	каналъ
ყუმბარის ყუთი	зарядный ящикъ
ყუმბარის გამძღოლი	ящищный вожатый
შემბა	запряганіе
შემბულობა	запряжки
შევარდნა	заскакиваніе
შეეფარე	закройся
შესდექ	стой
შეფერხებული გასროლა	затяжной выстрѣлъ
შეუფერხებელი	безъ задержки
ჩამონაკვეთი	срѣзъ
ჩამოხტი	слѣзай
ჩარჩენილი	застрявшій
ჩარჩო	рама
ჩახური	поршень

1918